საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბოჭდ-ვუნი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭირებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 11 ივნისი. 2019 წ. №116 (8782) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„შავი ქვა“ და წყაროს წყალი

2019 წლის მაისის მეორე ნახევარი ორი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა საქართველოში — უჩვეულოდ მოიმატა ჰაერის ტემპერატურამ და გაიფიცნენ ჭიათურელი მაღაროელები!

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ტემპერატურის მომატებაში ბრალი ხელისუფლებას არ მიუძღვის, მაგრამ ჭიათურელი მაღაროელების შრომითი პირობების გაუმჯობესებისა და კატორღული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის რომ ჯერეოვანი ყურადღება არ გამოუჩენია, ეს ფაქტია.

მარგანეცი, ანუ „შავი ქვა“, როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, მეტად მნიშვნელოვანი ნედლეულია მეტალურგიულ წარმოებაში და ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ხელისუფლება სისხლხორცეულად უნდა იყოს დაინტერესებული მისი მოპოვებით, თუმცა ჩვენში, როგორც ყველა სტრატეგიული რესურსი, ისიც კერძო მფლობელების ხელშია მოხვედრილი.

თუ რა კავშირშია ერთმანეთისაგან ტემპერატურის მკვეთრი მატება და ჭიათურელ მაღაროელთა გაფიცვა, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი ის წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესები გავიხსენოთ, რომელიც თან სდევდა მარგანეცის მოპოვებას მე-19 საუკუნის 80-იან წლებში.

იხ. 4 გვ.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები ვართ.

დიმიტრი უზნაძე

პატრიარქმა ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ დალოცა!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბოდბეში, წმინდა ნინოს სახელობის ახალ ტაძარში ქადაგებისას მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს. **„მინდა, მადლობა მოვახსენო ბატონ ბიძინა ივანიშვილს. დალოცვილი იყოს და ღმერთმა შეუწიროს ის ღვაწლი, რომელსაც აკეთებს ჩვენი ქვეყნისთვის“,** — განაცხადა პატრიარქმა.

ილია მეორემ ბოდბელი ეპისკოპოსი მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა, მოსაყდრე შიო კი პანაღიით დააჯილდოვა. ამასთან, ილია მეორემ სიგელები გადასცა იმ პირებს, ვინც წვლილი შეიტანა ტაძრის მშენებლობაში.

„მინდა, დღეს აღვნიშნო დამსახურება ზოგიერთი საერო და სასულიერო პირებისა. მადლობას შევსწირავთ უფალს, რომ მოგვცა საშუალება, ყოფილიყვნენ თავდადებული მღვდელმთავრები. მოსაყდრე კათოლიკოს-პატრიარქისა მეუფე შიო, რომელიც თავდადებით მოღვაწეობს, მადლობას ვწირავ მას მოღვაწეობისთვის და ნიშნად ჩვენი მადლობისა ვჩუქნი ბრწყინვალე პანაღიას. ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი, რომელიც მოღვაწეობს აქ, არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ საქმეს აკეთებს თვითნებურად, მაგრამ აკეთებს ეკლესიის საკეთილდღეოდ. ეპისკოპოსი იაკობი აღყვანილია მთავარეპისკოპოსის ხარისხში. მადლობელი ვართ ჩვენი მორწმუნე ხალხისა, რომ დიდი ღვაწლი გასწია ამ ტაძრის და სხვა ტაძრების მშენებლობაში“, — განაცხადა პატრიარქმა ქადაგებისას.

სიყვარულის ჭალღა - მშობლიურ ქალაქში!..

გორის დრამატულ თეატრში შედგა საზეიმო შეხვედრა აკადემიკოს ინესა მერაბიშვილთან

5

ქართველი მიქელანჯელოს დაბადების დღე მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ლეგენდარული ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის დაბადების 90 წლის იუბილე აღინიშნა, რომელსაც მერაბ ბერძენიშვილის კოლეგები და მეგობრები დაესწრნენ.

ღონისძიება მხატვართა შემოქმედებითი კავშირისა და კულტურის ფონდის ორგანიზებით გაიმართა. მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს მინიჭებული აქვს სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემია, ნობელის პრემიის ლაურეატის ფრიტიოფ ნანსენის სამახსოვრო მედალი და არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული ჯილდო. გუშინ საქართველოს კულტურის ფონდმა მერაბ ბერძენიშვილი სიკვდილის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიით დააჯილდოვა.

იოსებ არჩვაძე:

ანაკლიის მშენებლობა და განვითარება სხვა პორტებისთვის ტვირთბრუნვის წართმევას არ ნიშნავს!

6

ლადო კახაძემ დამაჯერებლად გაიმარჯვა

მთაწმინდაზე პარლამენტის შუალედური არჩევნების მეორე ტურის შედეგები 31-ვე საარჩევნო უბნის მიხედვით ასეთია:

№41 ვლადიმერ კახაძე („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) — 61,83% (10 738 ხმა).

№13 შალვა შავგულიძე („ევროპული საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“) — 38,17% (6 630 ხმა).

უნამუსობის მელოდიის თანხლებით ჩავლილი არჩევნები

3

პრემიერ-მინისტრი მონრეალში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მონრეალში ამერიკის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტს შეხვდა. ნიკოლას რემილარდმა მამუკა ბახტაძეს ფორუმში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრის გამოსვლა საქართველოში ინვესტირებით დაინტერესებული ბიზნესმენებისთვის მნიშვნელოვანი გზავნილი იქნება.

შეხვედრისას მთავრობის მეთაურმა ისაუბრა საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოზე, ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების რეიტინგში ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე და ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით დაგეგმილ ნაბიჯებზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი კანადაში, ქალაქ მონრეალში, ამერიკის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის კონფერენციაში მონაწილეობს. მამუკა ბახტაძე გახსნითი სესიის მონაწილეებს მიმართავს და ჩაერთვება დისკუსიაში თემაზე „გლობალური ეკონომიკა გარდამავალ პერიოდში“.

მონრეალის კონფერენცია, რომელიც 1995 წლიდან ყოველწლიურად იმართება, ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითად საკითხებზე მსჯელობისთვის თავს უყრის პოლიტიკურ ლიდერებს, სახელმწიფო, კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს. ფორუმი ასევე ხელს უწყობს მაღალი თანამდებობის პირებსა და მსხვილი კორპორაციების ხელმძღვანელებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარებას.

მონრეალის კონფერენცია 10 ივნისს გაიხსნა და 13 ივნისს დასრულდება.

პარლამენტის ორმა კომიტეტმა ლონდა თოლორაია გამოარჩია

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის ლონდა თოლორაიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

დეპუტატებმა სახელმწიფო ინსპექტორის კანდიდატურებს კენჭი გუშინ უყარეს. თოლორაიას მხარი რვა დეპუტატმა დაუჭირა, ვალერი ლომუაშვილმა კი საჭირო ხმები ვერ მიიღო.

კანდიდატებმა გუშინდელ სხდომაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის საკუთარი ხედვები წარადგინეს. შერჩეული კანდიდატი დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება.

სახელმწიფო ინსპექტორს თამარ ქალდანს თანამდებობაზე ყოფნის ვადა 1 ივლისს ეწურება. სწორედ ამ დროიდან ამოქმედდება ინსპექტორის სამსახურის ახალი ფუნქცია, რომელიც მას სამართალდამცველების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების უფლებას ანიჭებს.

ირაკლი ბერაია ოთო კახიძეს: ქურდებს დაუთმეთ გზა!

თუ მართლა ფიქრობთ, რომ ეს არჩევნები „ევროპულ საქართველოს“ და ენმ-ს სხვა განშტოებებს ქურდებმა მოგიგეს, დრო ხომ არ მოვიდა, საერთოდ წახვიდეთ პოლიტიკიდან და ქურდებს დაუთმოთ ასპარეზი, იქნებ, ისინი წავიდნენ ოპოზიციაში, — ასე მიმართა უმრავლესობის დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელ ოთარ კახიძეს პარლამენტში, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე, რომელმაც განაცხადა, რომ „უმრავლესობას კრიმინალური სამყაროს გამოყენებით მიღწეულ გამარჯვებას ვერ მიულოცავს“.

საყოფაცხოვრებო პირობებში მწვანე ენერგიის გამოყენება იზრდება

ნეტო აღრიცხვის სისტემაში ჩართული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების დადგმულმა ჯამურმა სიმძლავრემ 1.054 მეგავატი შეადგინა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინფორმაციით, დღეისთვის სს „თელასისა“ და სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ქსელებში ჩართულია 101 მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური. აქედან, 58 სადგური სს „თელასის“ ქსელში, ხოლო 43 სადგური — სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ქსელში. სემეკ-ში განმარტავენ, რომ ეს მაჩვენებელი მწვანე ენერგიის საყოფაცხოვრებო პირობებში გამოყენების ზრდაზე მიუთითებს.

ნეტო აღრიცხვა ელექტროენერგიის გამომუშავებაში განახლებადი ენერგიების გამოყენების ერთ-ერთი პოპულარული მიმართულებაა. საკუთარი მოხმარებისთვის, მომხმარებელს ან მომხმარებელთა ჯგუფს შეუძლია, ელექტროენერგია გამოიმუშაოს განახლებადი ენერგიების — მზის, ქარის, წყლის, (მათ შორის ჩამდინარე წყალი) ენერგიების გამოყენებით. ზედმეტი ენერგიის გამომუშავების შემთხვევაში კი მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, ელექტროენერგია გამანაწილებელი კომპანიას მიაწოდოს. ნეტო აღრიცხვის სისტემაში ჩართვის მსურველმა ან მსურველთა ჯგუფმა, გამანაწილებელ კომპანიას უნდა მიმართოს, რომელიც იმ კონკრეტულ არეალს ემსახურება. კომპანია დაამონტაჟებს რევერსულმრიცხველს, რომელიც აღრიცხვას როგორც ქსელისთვის მიწოდებულ, ასევე ქსელში გაცემულ ელექტროენერგიას.

დეკანოზი ქვლივიძე: ოსები და აფხაზები სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებენ...



„ოსები და აფხაზები, რომ გაიგებენ, რომ თბილისში მამათმავლების კვირეული ჩატარდა, სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებენ, რომ აღარ შემოუერთდნენ საქართველოს“ — დეკანოზმა დავით ქვლივიძემ მედიაცენტრ „მთავარში“ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„საქართველო კავკასიური ქვეყანაა. კავკასიის მენტალიტეტი იცით, რაც არის. ჩვენთან ცხოვრობენ ოსები და აფხაზები. ეს არის კავკასიური მენტალიტეტის ხალხი. იქ უფროს-უმცროსობა, ოჯახის ტრადიციები, კაცობა, ვაჟკაცობა, ქალწულობა, ერთ-ერთ მთავარ ტრადიციას წარმოადგენს. თავისი სიმაღლე აქვს. წარმოიდგინეთ, ოსები და აფხაზები, რომ გაიგებენ, რომ თბილისში მამათმავლების კვირეული ჩატარდა, სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებენ, რომ აღარ შემოუერთდნენ საქართველოს“, — განაცხადა ქვლივიძემ.

დეკანოზის თქმით, ლგბტ საზოგადოების პროპაგანდა და მხარდაჭერა ქვეყნის ლოგიკური დასასრულია.

„წარმოიდგინეთ, ჩვენ რა მოგვივა. ეს ლოგიკური დასასრულია. გადაავლეთ ისტორიას თავი. ეკლესია ამას ამხელს და ეკლესიის შვილებს გიხსნით, რა შეიძლება მამათმავლობას მოჰყვეს. ჩვენ გაფრთხილებთ, რას რა შეიძლება მოჰყვეს. ჩვენ არასოდეს აგრესიულები არ ვართ, არასოდეს არ ვამბობთ, რომ ესენი სცემეთ, ვინც ამას აკეთებს, ეკლესიაში მე ვიტყოდი შემოგზავნილმა ხალხმა გააკეთა ეს ყველაფერი. ეკლესია ასეთ ხალხს ყოველთვის მოუწოდებს სინანულისკენ“, — თქვა დეკანოზმა. შეგახსენებთ, რომ „თბილისის პრაიდის“ ორგანიზებით „ღირსების მარშის“ კვირეულის ჩატარება მიმდინარე წლის 18-23 ივნისს იგეგმება.

ᲣᲜᲐᲛᲣᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲬᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ **მთლიანად საარჩევნო თემისთვის მინდოდა მიმეძღვნა, მაგრამ კვირას, გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ თითქმის მთელმა საქართველომ ნახა ზაზა სარალიძის მეტად ემოციური გამოსვლა, რომელმაც დარწმუნებული ვარ, ყველა შეძრა და უდიდესი ტრაგედიის მატარებელი ამ ადამიანის მიმართ თანაგრძნობით განაწყო.**

მანამდე კი „რუსთავი-2“ის დირექტორი ნიკა გვარამია, ბატონ ზაზაზე ძალიან განაწყენდა და, შეიძლება ითქვას, დაემუქრა კიდეც: **„კვირას „განსხვავებულ აქცენტებში“ ბევრს ვილაპარაკებ, რატომ აღარ ელაპარაკება ზაზა სარალიძე „რუსთავი-2“-ს, არხს, რომელმაც არათუ გახსნა ეს საქმე, არამედ, საერთოდ, შექმნა სარალიძის საქმის ფენომენი, და რატომ ელაპარაკება იგივე ზაზა სარალიძე „ტვ იმედს“, რომელიც მონსტრს აკეთებდა მთელი წელიწადნახევარი მისგან“, რატომ ბომბავს დღეს მხოლოდ პროკურატურას და საერთოდ რატომ გააქრო ნარატივიდან შსს, რომელმაც სინამდვილეში პირველმა გააფუჭა საქმე და მერე „გააპრავებია“ პროკურატურას“, ვისი ინსტრუმენტია სარალიძე დღეს და ვის პირდაპირ ინსტრუქციებს ასრულებს, ნებსით თუ უნებლიეთ (ამაშიც გავერკვევით). ვილაპარაკებ მორიდების გარეშე, როგორც მე მჩვევია. უსამართლობისას დანდობა არ ვიცი, მოგეხსენებათ, და არანაირ სტატუსს ანგარიშს არ გავუწევ, ესეც მოგეხსენებათ“...**

თუნდაც ამ ტირადიდან ნათლად გამოჩნდა, თუ რა აწუხებს გვარამიას. მისთვის უმთავრესი ამოცანა იყო, რომ „რუსთავი-2“-ს და ნაცმოძრაობას ბოლომდე ეკონტროლებინათ ზაზა სარალიძე. მისთვის მთავარი იყო არა იმ საშინელ ტრაგედიაზე პასუხების მიღება და დამნაშავეების დასჯა, არამედ ამ ადამიანის ხელით სახელმწიფო ინსტიტუტებზე დარტყმის განხორციელება.

აბსოლუტურად სწორი შეფასება გააკეთა ჟურნალისტმა ბონდო მძინარაშვილმა: **ვინც ზაზა სარალიძის ემოციურ გამოსვლას მოუსმინა, უთუოდ მიხვდება, ვის გულისხმობდა, როცა ამბობდა, არავინ დამენახოს, ვინც იტყვის, რაღა დროს გირგვლიანიაო, ესე იგი, წლების შემდეგ ჩემზეც უნდა თქვან, რაღა დროს სარალიძეაო?!**

სააკაშვილმა თქვა, რაღა დროს გირგვლიანიაო და მისმა სექტამ გამოაცხადა ზაზა სარალიძე მოღალატედ!

მოღალატე რატომ არის შვილმოკლული მამა, რომელიც ბოლომდე იბრძვის შვილის მკვლელობის მონაწილეთა დასასჯელად?! მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკური ქულების ჩაწერის საშუალება არ მისცა ამ მწამებელთა სექტას?!

შარშან სწორედ ამიტომ ვუწოდე ნაცსექტისგან მართულ პოლიტიკურ პროცესს ნაცზონდერაღლუმი. კარგად ვიცნობ მაგათ მოდგმას, კარგად მახსოვს და ვიცი, რა ჩაიდინეს და რისი მკადრებლები არიან!

ისიც ვიცოდი, რომ პოლიტიკური მიზნებით უზნეოდ იყენებდნენ უზარმაზარ ტრაგედიას და ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“ და ჩემს გადაცემაში „ობიექტივში“ ისიც ვთქვი, რომ ახლა საქართველოში მეორდება სიუჟეტი ფილმისა „როცა აყვავდა ნუში“. ვისაც ეს ფილმი ახსოვს, იმასაც გაიხსენებს, როგორ ცდილობენ გარდაცვლილი გამოიყვანონ დამნაშავედ!

საზოგადოებასაც მოვუწოდე, რომ ეს ჩვენი, ყველას პრობლემაა! დიახ, ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს რობაქიძეც, გირგვლიანიც, ვაზაგაშვილიც, გამცემლიძეც, სარალიძეც, დადუნაშვილიც და ყველა ის მოკლული ახალგაზრდა, ვინც სისტემამ შეიწირა ან/და ვისი მკვლელობის მიჩქმალვაც სისტემამ სცადა.

უნდა გვახსოვდეს არამარტო ამ ახალგაზრდების ხსოვნის პატივსაცემად, არამედ იმიტომაც, რომ მსგავსი სისასტიკე აღარ მოხდეს; იმიტომ, რომ სისტემამ ვეღარ შეძლოს ადამიანის განადგურება და სისტემამ ვეღარ შეძლოს მკვლელების მფარველობა!

ნაცპათოლოგებმა კი გაანადგურეს ირინა ენუქიძე და იური ვაზაგაშვილი და ახლა ზაზა სარალიძის განადურება სცადეს აი, ამ მანიაკის დავალებით.

კვირის ეთერის შემდეგ გვარამიამ კიდევ ერთხელ სცადა შს მინისტრზე თავდასხმა და ამისთვის ისევ და ისევ ზაზა სარალიძის ემოციური გამოსვლა გამოიყენა: **„ამ ეთერის მერე აღარც სათქმელი დამრჩა რაიმე, არც საკითხავი. ორი რამე დავადგინე ზუსტად და დავწერ:**

1. ზაზა სარალიძემ გაიარა სამოქალაქო გმირობის გზა და სჭირდება და იმსახურებს იმას, რომ შევეშვათ და დავტოვოთ მარტო საკუთარ თავთან და ოჯახთან.

2. აბსოლუტურად ზუსტად, გახარიაზე ბინძური და მდაბიო, ყველაფრის მკადრებელი ნაძირალა საქართველოს ხელისუფლების ისტორიაში მე არ მახსოვს. ტიპიური, გულისამრევი, თან „მელკი“ ГРУ-შნიკი. მძულს მთელი არსებით ისიც და მისი პატრონი ივანიშვილიც.

P. S. გახარია აუცილებლად დაისჯება სარალიძის საქმის ფაბრიკაციისთვის, როგორც საქმის შეკერვის მთავარი ფიგურანტი. აი, განსაკუთრებით, დღეის მერე, ფიცს ვდებ, რომ აუცილებლად (თუ მანამდე რუსეთში არ გაიქცა).“, — წერს გვარამია.

მოკლედ რომ ვთქვა, რაც არ უნდა მოხდეს, სიცრუისა და სიძულვილის ეს მანძანა ისევ აგრძელებს ბრძოლას არეულობის და სისხლისღვრის მოსაწყობად. ისევ აგრძელებს ბრძოლას დესტაბილიზაციისთვის და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთი თვის მანძილზე ორჯერ გაფარჩაკდნენ, კვლავ ემზადება 2020 წლის რევანშისთვის.

ახლა კი დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს — ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ.

გასულ არჩევნებს, რომელმაც ნათლად გვაჩვენა ქართული პოლიტიკური სპექტრის შესაძლებლობები, მიზნები და ამ ყველაფრისადმი საზოგადოების დამოკიდებულება.

როცა პირველი ტურის შემდეგ შავგულიძის შტაბში აღფრთოვანებული პატარა ბავშვები, ყინჩად მჯდარი ბოკერიაუგულავა და ჩაფიქრებული შავგულიძე დავინახე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ:

იმ პატარა „პარტმუშაკებისთვის“ მართლაც დიდი წარმატება და სიხარული იყო ისეთ საქმეში მონაწილეობა, რასაც საქართველოს პარლამენტის არჩევნები ჰქვია და აშკარად გაუცნობიერებლად ჩართვა ისეთ პროცესებში, რაც ნაცმედიით წარმოჩენილი იყო, როგორც თავგანწირული ბრძოლა ერის გადარჩენისთვის. ეს მესიჯი კი ბავშვებისთვის ძალიან ამაღელვებელი და მნიშვნელოვანია (საკუთარ თავზე გვაქვს გადატანილი ბევრ ჩვენგანს).

იმ დღეს ბოკერია-უგულავას „მარიაჟობა“ სხვა არაფერი იყო, თუ არა ნიშნის მოგება „მთავარი“ ნაცებისთვის და დასავლეთისთვის იმის ჩვენება, რომ „თქვენგან ე.წ. მეორე პოლიტიკურ ძალად აღიარებულმა ნაცმოძრაობამ, არამც თუ დედაქალაქში, არამედ ერთ-ერთ რაიონში, აქამდე ყოვლად უცნობი კანდიდატის წინააღმდეგ, ბელად სააკაშვილის მეუღლის, ევროპელი სანდრა ელისაბედ რულოვსის მეორე ტურში გადაყვანაც კი ვერ მოახერხა. თქვენგან რჩეულმა პოლიტიკურმა ძალამ, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზების შემდეგაც კი, მობილიზების, რომელიც ფაქტობრივად არა წინა საარჩევნო პროცესს, არამედ დაპყრობილი ქალაქის გათავისუფლების პათოსით ხმიანდებოდა, მთელი ქვეყნის ამომრჩეველს დაანახა, რომ „მთავარი“ ნაცების რეიტინგი, ფაქტობრივად, ზეროა და მათ აღარაფერი ეშველებათ. თქვენგან რჩეულმა პოლიტიკურმა ძალამ, მიუხედავად „ბელადშას“ მრისხანე დაპირებისა, რომ „ყველა ოჯახში შევიდოდა“, „ხელში იარაღს აიღებდა და ჟანა დარკვით შემუსრავდა ევროპული არჩევანის მტრებს“ — ჩაიფახა!

მოკლედ რომ ვთქვა, ბოკერიამ ერთი შეხედვით წაგებული თამაში მხოლოდ იმიტომ წამოიწყო, რომ ეს გათვლა ჰქონდა და თავისი გასაკეთებელი გააკეთა.

შავგულიძე, სავარაუდოდ, მიხვდა ბოკერიას ამ თამაშს. მიხვდა, რომ ჟარგონით რომ ვთქვა, იმ „უტკის“ (იხვის) როლში აღმოჩნდა, რომელიც „დააბოლეს“— ოცნებას ახლა მთაწმინდისთვის არ სცალია, აქტივობა ძალიან მცირე იქნება, ჩვენ, მარგველა, ალასანია, უსუფაშვილი მხარს დაგიჭერთ და პირველივე ტურში მოიგებო. დააბოლეს და „ცუდ პონტში შეაგდეს“.

მას შემდეგ, რაც შედეგები გამოცხადდა, შავგულიძემ „დუხი“ დაკარგა და დაკარგავდა კიდეც. ის ნამდვილად არ არის „ფრაერი“ და ეს ყველაფერი ძალიან კარგად დაინახა. დაინახა და იმ დღესვე დამარცხდა.

ამ ყველაფრის აქამდე დაწერას აზრი არ ჰქონდა. არ ჰქონდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 9 ივნისამდე ყველას დაავიწყდებოდა. ხვალ კი საზოგადოებას ექნება საშუალება, კიდევ ერთხელ გააანალიზოს ყველაფერი და არ მისცეს საშუალება პოლიტიკურ თაღლითებს (ძალიან რბილად ვამბობ) ისევ ყალბი ზეიმები მოაწყონ და ჩვენი პასიურობის ხარჯზე „მაყუთი“ იშოვონ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲛᲔᲓᲘᲐᲡ — ᲛᲐᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲫᲐᲜᲘᲡ ᲭᲐᲜᲭᲘᲙᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

სწორედ მათზე მინდა ვთქვა: გასაგებია რომ დავალება აქვთ, საარჩევნო უბნებზე დარღვევები აღმოაჩინონ და მთელს საქართველოს ამცნონ. ისიც გასაგებია, რომ პირნათლად სურთ ამ დავალების შესრულება, მაგრამ აგრესიაში გადასულ ფსიქიკურ აშლილობამდე მისული და ამ მდგომარეობისთვისაც შეუფერებელი არაადეკვატური შეკითხვები, მოძრაობები და მიმიკები, აბსოლუტურად გაუგებარია.

მომკალით და ვერაფრით დავიჯერებ, რომ ამ ე. წ. ჟურნალისტებს, ხალხს რომლებსაც სხვებზე მეტი ინფორმაცია გააჩნიათ, არ ესმოდეთ ის, რომ შეიძლება წაგებული თამაში ითამაშო, მაგრამ ისე ითამაშო, რომ ღირსება არ დაკარგო.

რა უნდათ საბოლოოდ?

ხომ ესმით, რომ ვერასდროს შექმნიან ღირებულ პროდუქტს, ვერასდროს გახდებიან თავიანთი ტელევიზიების ხელმძღვანელები, ვერასდროს იშოვიან იმდენ ფულს, რომ წარსული მიატოვონ.

ხომ ესმით, რომ უკვე არა გასალანძღნი, აღარც შესაბრალისნი, არამედ სასაცილოები გახდნენ და ეს დამღა ძალიან დიდხანს გაჰყვებათ.

ნუთუ ღირს ვიღაც გვარამიას გულისთვის, რომელმაც, სავარაუდოდ, მათი სახელებიც არ იცის, ცალყბად გაღიმებად ასე დაცემა და გაფარჩაკება?

> **„ჩვენ ვიხილეთ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული და დაფინანსებული საოცარი ინტენსივობის ცილისწამების, შავი პიარის კამპანია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა პირადად დაიწყო ჩემ წინააღმდეგ „იმედის“ ეთერით.**
>
> **სახელისუფლო პოზიციიდან დაპირებისა და დაშინების გამოყენებით, ყოვლად უღირსი ზემოქმედება ხდებოდა ისეთ მოწყვლად ამომრჩეველზე, როგორებიც არიან პატიმართა ოჯახები, სოციალურად დაუცველები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. ხელისუფლების მხრიდან მოხდა კრიმინალური მენტალიტეტის პირთა მასობრივად გამოყენება, ამომრჩევლის გარკვეულ წრეზე ზეგავლენის მოსახდენად და მათთან ერთად და იმავე მიზნით, ადმინისტრაციული რესურსის და სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების გამოყენება“,** — განაცხადა შალვა შავგულიძემ.

ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲐᲠ-ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲚᲔᲠᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲨᲐᲕᲒᲣᲚᲘᲫᲔᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

რაც შეეხება „კრიმინალების“ აქტიურობას საარჩევნო უბნებზე, ვიტყვი, რომ „რუსთავი-2“-ის თანამშრომლები (არ ვამბობ სიტყვას „ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ“) ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲭᲐᲠᲑᲔᲖᲔ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ.

ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ, ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ, ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ.

წინ კი არც ისე დიდი დროა. პოლიტიკოსებს 2020 წლამდე ფაქტობრივად ორი საზაფხულო და ერთი ზამთრის არდადეგები რჩებათ. ამ თვეში ჩატარებულ არჩევნებზე ნათლად გამოჩნდა ნაცების სისუსტე, მაგრამ ეს თუ ჩვენ დავინახეთ, არც ისინი ისხდებიან გულხელდაკრეფილნი და თუ გავითვალისწინებთ მათი ბელადის ძალაუფლებისკენ მიმართულ მანიაკურ ვნებებს და მომხრეების სექტანტურ გამოთაყვანებას, ყველაფერია მოსალოდნელი.

დაველოდოთ, თუ როგორი ცვლილებები და რა გადაჯგუფებები მოხდება ამ მოკლე დროში, რაც უდავოდ მოგვცემს სწორი ანალიზის გაკეთების საშუალებას.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ

აკაკი: სანამ დიდი ფული არ გვექნება, მონებად დავრჩებით!

(პირველი გვერდიდან)

1961 წელს გამოცემული აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის მე-13 ტომში შესულია პოეტის ორი საგაზეთო პუბლიკაცია – „მოგონება მარგანეცის გამო“ და „შავი ქვის ამბავი“, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი მზაკვრული მეთოდებით ებრძოდნენ უცხოელი მონოპოლისტები ქართული წარმოების განვითარებისა და ქართველი ხალხის სიდუხჭირიდან გამოყვანის ყოველგვარ მცდელობას.

შეიცვალა დროება, შეიცვალა ფორმაციები, განვითარდა ტექნოლოგიები, მაგრამ არ შეცვლილა ველური კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი ის მეთოდები, რომელსაც მოდერნიზებული და ლამაზად შეფუთული საბაზრო ეკონომიკის შირმით ახორციელებენ თანამედროვე ეკონომიკური მკვლელები.

„სამშობლოში რომ დავბრუნდი, – წერს აკაკი, – რამდენიმე წელში დავრწმუნდი, რომ ჩვენს შრომას ჯეროვანი ნაყოფი არ მოჰქონდა და ამის მიზეზი უმთავრესად ჩვენი საზოგადო სიღარიბე იყო, მაგრამ სიღარიბე ფულითი და არა ქონებითი. სანამ ეს, ჩვენის ქვეყნის ბუნება, არ გამოგველევა და მიწა-წყალი ჩვენს ხელშია, ქართველები მდიდრები ვართ, მაგრამ ვერ მოგვიხერხებია, რომ ეს ბუნებითი სიმდიდრე, ეს ქონება ფულად ვაქციოთ... სხვა რომ არა იყოს – რა, მარტო ეს ამდენი აუარებელი მადნეულობა, რომელიც ჩვენს ურგებ მთებში იმარხება, საკმაო კი არა და მეტიც იქნება ჩვენის ქვეყნის გასამდიდრებლად!“

ქვეყნის უბედობითა და ქართველი ხალხის სიდუხჭირით შეწუხებული პოეტი მიდგა-მოდგა, მოიწვია ექსპერტები, სპეციალისტები, მოიძია ინვესტორები, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გაავრცელა საინფორმაციო ბუკლეტები, გააფორმა 2 მილიონი ფუთი მარგანეცის გატანის ხელშეკრულება ერთ-ერთ უცხოურ მწარმოებელთან და როცა საქმეს სასიკეთო პირი გამოუჩნდა, სწორედ მაშინ გააქტიურდნენ შავბნელი ძალები, განსაკუთრებით კი უცხოეთში არსებული „ტერ-ნაურის“ საზოგადოება, რომელიც მონოპოლისტი იყო მსოფლიო ბაზარზე. ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას, რომ საქართველოში დათარეშობდნენ ყაჩაღთა რაზმები, ხშირი იყო ავაზაკობისა და კაცთა კვლის შემთხვევები და სხვა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ აკაკის ადგილობრივი მოსახლეობა აუმხედრეს, კრედიტორებთან მიმართებაში თაღლითობაში დასდეს ბრალი და უკვე მოპოვებული შავი ქვაც ჩამოართვეს.

„ცამეტი წლის ტანჯვა-წამებამ ტყუილ-უბრალოდ ჩამიარა, ათი ათას თუმანზე მეტი ზარალი განვიცადე, ხელში კი შემრჩა მხოლოდ სუდები და პროცესებიო“, – დანანებით ამბობს აკაკი და იმ მიზეზებსაც განმარტავს, თუ რამ განაპირობა ასეთი შედეგები: „დღეს, მართალია, ცხადად შემომსევ მტრებს ვეღარა ვხედავთ, მაგრამ ბრძოლა კი, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, მაინც ისევ საჭიროა და ამათი ფარ-ხმალიც ერთი ფულია! სანამ ფული არ გვექნება ქართველებს და სხვისი ხელის შემყურე ვიქნებით, ჩვენ ყოველთვის ხელფეხშეკრულ მონებად დავრჩებით!“

დავრჩით კიდეც! დღესაც, 21-ე საუკუნეში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგაც „სხვისი ხელის შემყურე, ხელფეხშეკრული მონები“ ვართ, რაც უნდა მწარე იყოს ამის აღიარება!

ამ დალოცვილ ქვეყანაში კი, სადაც ღმერთმა უშურველად დაიბერტყა კალთა, ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევების თანახმად, 1261 დასახელების წიაღისეულია აღრიცხული და ქართული ეკონომიკა მაინც ქრონიკულ სტაგნაციაში რომ იმყოფება, განა ეს გასაკვირი არაა?!

ხშირად გაიგონებთ, ღარიბები იმიტომ ვართ, რომ არ გვაქვს ნავთობი და გაზიო! ამ ლოგიკას რომ გავყვეთ, ყველა ქვეყანა, რომელსაც ნავთობისა და გაზის საბადოები არ გააჩნია, განწირული ყოფილა სიღარიბისათვის, რაც საფუძველშივე მცდარი შეხედულებაა!

* * *

თუ მე-20 საუკუნის მიწურულს დიდი გასავალი ჰქონდა ჰენრი კისინჯერის გამოთქმას: „ვინც აკონტროლებს ნავთობს, ის აკონტროლებს მსოფლიოს“, დღევანდელ პირობებში, მოახლოებულია დრო, როცა აქსიომად ქცეული გამოთქმის პერიფრაზირება შემდეგნაირად იქნება შესაძლებელი, „ვინც აკონტროლებს მტკნარ წყალს, ის აკონტროლებს მსოფლიოს!“

„შავი ქვა“ და წყაროს წყალი

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები ვართ.

დიმიტრი უზნაძე

გაეროს კვლევების თანახმად, 2040 წლისთვის, სულ რაღაც ოც წელიწადში, სასმელი წყლის ფასი, ნავთობის ფასს გაუტოლდება და შესაძლოა, გაუსწროს კიდეც, ჩვენ კი ისევ თუსა და ვაითუს ძახილსა და სხვის მოიმედეობაში ვიქნებით, მტრის გულის გასახარად!

მე-18 საუკუნის ინგლისელი ეკონომისტისა და მღვდლის – მალთუსის თეორიის მიხედვით, პლანეტის მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებები კი არითმეტიკულით, რაც განაპირობებს ყველა სოციალურ უბედურებას.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული თეორია დაუსრულებელი დავის საგანია, მის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ 1000 წლის წინათ, დედამიწის მოსახლეობა იყო მხოლოდ 300 მილიონი, 2011 წლიდან კი 7 მილიარდს გადაჭარბა და წარმოუდგენელია, ასეთი პროცენტული მაჩვენებლით გაზრდილიყო მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებები.

ზემოთ გაეროს კვლევები ვახსენე და იმავე კვლევების თანახმად, 1 მილიარდი ადამიანი ქრონიკულად შიმშილობს, მოსახლეობის ნახევარზე მეტი კი (4 მილიარდი ადამიანი) სასმელი და ჰიგიენური მოხმარებისათვის საჭირო სუფთა წყლის დეფიციტს განიცდის.

ასეთი კრიზისის ფონზე განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება საქართველო, სადაც 26 ათასი მდინარე, ათეულობით ტბა და ხელოვნური წყალსაცავი არსებობს, რომ არაფერი ვთქვათ, მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე. თანაც, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ეს არის თვითგანახლებადი ბუნებრივი რესურსი, რომელიც რეინვესტირებას არ საჭიროებს და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია მის გონივრულად გამოყენებას.

ამ პოტენციალის გათვალისწინებით, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა პაატა გიორგაძემ, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დაამუშავა სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც საქართველოს შეუძლია ყოველწლიურად ექსპორტზე გაიტანოს 50 მილიარდი ლიტრი სასმელი წყალი, რის შედეგად პირველივე წელიწადში ბიუჯეტი შეივსება 4 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ შედგენილი ბიზნესგეგმის მიხედვით, ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობის ფარგლებში, ქვეყნის თითოეულ მუნიციპალიტეტში გაიხსნება მინიმუმ ორი საჩამომსხმელო და დამფასოებელი ძარხანა, იძ დასაძმებულთა ყოველთვიური ანაზღაურება კი გაუტოლდება 1500 აშშ დოლარს ლარებში.

ამ ენთუზიასტ ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოსაგან მორალური მხარდაჭერის გარდა არაფერს ითხოვენ, მოძიებული ჰყავთ სტრატეგიული პარტნიორები როგორც ევროპა-ამერიკაში, ისე არაბულ ქვეყნებში, რომლებიც 3 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ და ერთ ლიტრ დაფასოებულ წყალში საზღვარზევე გადაიხდიან 24 ცენტს.

როგორც ბატონი პაატა გიორგაძე ირწმუნება, ამ უნიკალური პროექტის სრულმასშტაბიანი მოქმედებით, საქართველოს ფულადი შემოსავალი წელიწადში შეადგენს 12 მილიარდ აშშ დოლარს, საიდანაც ერთი მესამედი ბიუჯეტში აკუმულირდება, დანარჩენი კი, რეინვესტირების სახით, ქართული ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებას მოხმარდება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უახლოესი 8-10 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა წარმატებული და ეკონომიკურად წელში გამართული გავხადოთ.

„ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა“! – უთქვამს ქართველ კაცს და, როგორც კვლევები ცხადყოფს, 2040 წლისათვის სასმელი წყლის ფასი ნავთობის ფასს გაუტოლდება და, შესაძლოა, გაუსწროს კიდეც.

როგორც ბატონი პაატა გიორგაძისაგან ვიცი, თავის დროზე ამ პროექტით მოხიბლულა ბიძინა ივანიშვილი და ყოველგვარი თანადგომა აღუთქვამს, მაგრამ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. მოგვიანებით, ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობისას, საკოორდინაციო საბჭოც კი შეუქმნიათ, რომელშიც ყველა სამინისტროს პირველი პირები ყოფილან გაერთიანებული, მაგრამ ეს ახლადშექმნილი საბჭო ისე გაუუქმებიათ ვიღაც უხილავი მენტორის მითითებით, რომ პროექტის ავტორებისთვის არც კი უცნობებიათ!.

ლოგიკურად დაისმის კითხვა: ვინ აფერხებს ქართული ეკონომიკის განვითარებას და ვინაა დაინტერესებული იმით, რომ ქართველი ხალხი მუდმივ სიღარიბეში ცხოვრობდეს?

ამ კითხვაზე (რომელიც შეიძლება ვინმეს რიტორიკულადაც კი მოეჩვენოს) ირიბი პასუხი თავის დროზე ცხონებულმა მერაბ ჯიბლაძემ გასცა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში: „1992 წელს განათლების მინისტრის მოადგილე გახლდით, როცა ამერიკის საელჩოს ატაშე ჰაჩისონმა პირდაპირ გამომიცხადა: თქვენ არ გჭირდებათ მეცნიერება და კულტურა, თქვენ არ გჭირდებათ უმაღლესი სასწავლებლები, რადგან განვითარებადი ქვეყანა ხართო!“

ვინც დიპლომატიის იერარქიას იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ ატაშე ყველაზე დაბალი რანგია დიპლომატიურ წარმომადგენლობაში და როცა ასეთი ჩინის მოხელე არად დაგიდევს ეთიკის ნორმებს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რის უფლებას მისცემს საკუთარ თავს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. არ იქნა და არ დაელია საქართველოს ასეთი ჰაჩისონები, ჯონ ბასები და იან კელები, რომლებიც უხეშად ერევიან ჩვენს შინაურ საქმეებში, ამიტომ სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების ჩანასახშივე მოშთობაც, ამგვარი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგი უნდა იყოს.

აღმოსავლეთმცოდნე გუბაზ სანიკიძემ, რომელიც გარკვეული პერიოდი პარლამენტის ვიცე-სპიკერი იყო და აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩადიოდა, დანანებით განაცხადა: საუდის არაბეთში, ირანში, იორდანიასა და კუვეიტში, გამარჯობის მერე იმას ითხოვდნენ, წყალი მოგვეციო, მაგრამ ხელისუფლება ვერაფრით დავაინტერესე ამ საკითხითო. არადა, გონიერი ხელისუფალი, თუკი იგი სახელმწიფოებრივად აზროვნებს, დღემუდამ იმის მცდელობაში უნდა იყოს, ქვეყნის ინტერესებს დაუქვემდებაროს ყველა რესურსი, რასაც კი სარგებლის მოტანა შეუძლია და ეკონომიკური ეფექტი აქვს. სასმელი წყალი, როგორც ასეთი, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პოლიტიკური ზემოქმედებისათვის, იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც გამუდმებული პრეტენზიები აქვთ საქართველოსთან და მათი ამბიციები ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ეს ჩვენს სამეზობლოს ეხება. ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ნამდვილად არ აწყენდა ისტორიის სახელმძღვანელოში ჩახედვა, სადაც სახელმწიფოებრივი აზროვნების არაერთ მაგალითს აღმოაჩენენ. მაგალითად, თბილისსა და დმანისში სამარცხვინო მარცხის შემდეგ, სულთან მაჰმუდი სატანამ აცდუნა, შირვანზე გაილაშქრა და რევანშის ჟინით გონებადაბინდულმა დავით აღმაშენებელს „წიგნი“ მისწერა: თუ გული გერჩის, ბრძოლის ველზე შემხვდი, მაგრამ შენ ტყეთა მეფე ხარ და „ვერა ოდეს გამოხვალ ველადა“-ო.

დავითმა გამოწვევა მშვიდად მიიღო, 50000-კაციანი ლაშქარიც მყისვე შეკრიბა, მაგრამ სისხლისღვრას მოერიდა და მტერზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით იქვე შორიახლო დაბანაკდა. ბრძენი მეფის ასეთი ტაქტიკით შეცბუნებული სულთანი „ფრიად განკრთა“, და „შეიწროებულმან შიმშილითა და წყურვილითა მრავალ დღე, გზა სამტოლვარო ითხოვა“.

აი, პატივცემულო მკითხველო, როგორ ეფექტურად გამოიყენა წყალი გონიერმა მთავარსარდალმა თავგასული მოძალადის წინააღმდეგ, რაც სამაგალითოდ უნდა გავიხადოთ დღევანდელმა ქართველებმა.

ვერ გეტყვით, გლობალური დათბობის ბრალია თუ ქართველთა ხასიათის მიზეზით ხდება, მაგრამ უკანასკნელ წლებში საგანგაშოდ იმატებს როგორც ჰაერის, ისე პოლიტიკური ტემპერატურა. ასეთ სიტუაციებში უებარი საშუალებაა ცივი წყალი, რომელიც უხვად მოგვეპოვება საქართველოში და ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია კრიტიკულ მომენტებში.

თეიმურაზ ჯანელიძე,
წყალტუბო

სიყვარულის ტალღა - მშობლიურ ქალაქში!..

გორის დრამატულ თეატრში შედგა საზეიმო შეხვედრა აკადემიკოს ინესა მერაბიშვილთან



ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ანგლისტი, მეცნიერი და მთარგმნელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი, თბილისის ბაირონის სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი, ცნობილი ბაირონოლოგი, გალაკტიონოლოგი, მრავალი ჯილდოსა და პრემიის ლაურეატი, ბაირონის ქართულად, ხოლო გალაკტიონის ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ინესა მერაბიშვილი, დაიბადა და გაიზარდა ქალაქ გორში. ამჯერად გორმა მას — გორის საპატიო მოქალაქეს, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს უმასპინძლა.

გორის საზოგადოებამ ამ შეხვედრით პატივი მიაგო, უპირველესად, ქართულ მეცნიერებას, რადგანაც სტუმრად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მოიწვია. გორს ესტუმრა აკადემიკოსთა და პროფესორთა დიდი გუნდი, აგრეთვე, მრავალი გამორჩეული სტუმარი თბილისიდან.

გადაჭედილ დარბაზში გულწრფელი ტაში ქუხდა. სიტყვით გამომსვლელთა შორის იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე,** პროფესორი **ვალერი ასათიანი,** ქალაქ გორის მერი **კოტე თავზარაშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**.

ინესა მერაბიშვილის დიდ მეცნიერულ აღიარებაზე აქ და დასავლეთში ისაუბრა ლელა ხუბულურმა. ფრიად საყურადღებო და ამაღელვებელი გამოდგა თავად გორელების დამოკიდებულება ინესა მერაბიშვილის აკადემიურ საქმიანობისადმი, როდესაც ხაზი გაესვა მის კვლევასა და საქმიანობაში სიმართლის ძიებასა და დადგენას.

ენათმეცნიერების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ინესა მერაბიშვილის კონცეფცია სიტყვის მნიშვნელობის შესახებ, რადგან ქართველმა მეცნიერმა ინგლისელი ენათმეცნიერების საუკუნოვან ხედვაში დიდი ცვლილება შეიტანა, როდესაც სემანტიკური სამკუთხედის შემადგენელ ნაწილად ლინგვისტური ხატი გამოაცხადა. ამ კონცეფციას გამოეხმაურა მრავალი დიდი ლინგვისტი, ხოლო გასულ წელს ნიუ-იორკის საერთაშორისო საენათმეცნიერო სამეცნიერო ჟურნალმა მას თავისი კოლეგიის წევრობა შესთავაზა.

სიმართლის ძებნამ ბაირონის შემოქმედებაში ახალ მიგნებასა და აღმოჩენამდე მიიყვანა, რაც კარგად მოეხსენება ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით ბაირონის ცხოვრებაში ქართველ ქალთან დაკავშირებული ეპიზოდის გამო.

ამ შთამბეჭდავი აღმოჩენით ინესა მერაბიშვილმა უკუაგდო ინგლისელი თუ ამერიკელი ბაირონოლოგების არაერთი მცდარი თეორია და მათი ხარვეზები ნათლად გამოააშკარავა. ამ ანალიზის ჩატარების საფუძველი კი, პირველ ყოვლისა, თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა და ინგლისური ენის სტილისტიკა გახდა, რომლის აღიარებული საერთაშორისო ექსპერტი თავად გახლავთ. ბუნებრივია, აღიარებამაც არ დააყოვნა. ორი ათეული წლის მანძილზე ინესა მერაბიშვილს თირზას საკითხი სისტემატურად გაჰქონდა საერთაშორისო ფორუმებზე და ის ინგლისურენოვან სტატიებსა და ორ ასევე ინგლისურენოვან მონოგრაფიაში აისახა. თითქმის ოცი წლის მანძილზე საერთაშორისო ასპარეზზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს შეებედა ამ თეორიასთან დაპირისპირება, და ეს მოხდა იმიტომ, რომ აქ ჭეშმარიტი სიმართლე იყო.

ქართულ ფილოლოგიაში მისი მართალი ხელწერა, პირველ ყოვლისა, გალაკტიონის კვლევაში გამოვლინდა. ეს ფილოლოგიური სიმართლე, როგორც ყოველთვის, მის თარგმანებში აისახება, უფრო სწორად, მის მიერ თარგმნილი ყოველი ლექსი, იქნება ეს ქართულ, ინგლისურ თუ რუსულ ენებზე, მეცნიერულ კვლევას ემყარება, რაც, თავის მხრივ, სიახლეცაა და ახალი სიმართლეც თარგმანმცოდნეობაში. ამიტომაცაა მისი თარგმანი ასეთი მართალი და მგრძნობიარე.

სწორედ საფუძვლიანმა მეცნიერულმა ანალიზმა მას შეაძლებინა, გალაკტიონი ინგლისურად ეთარგმნა, მაგრამ ეთარგმნა არა მხოლოდ სიტყვა სიტყვით და შინაარსი შინაარსით, არამედ მეტაფორა მეტაფორით, ხატი ხატით და განცდა განცდით.

ამიტომაც დაწერს შემდეგს ამ თარგმანების შესახებ ამერიკელი დიპლომატი:

„აშკარაა, რომ ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისური ენის სიღრმისა და სინატიფის წვდომა აღემატება იმას, ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანს რომ ხელეწიფება.“

ამიტომაც იყო, რომ ინგლისელმა დიპლომატმა ინესა მერაბიშვილის ღვაწლი მარჯორი უორდროპის ღვაწლს შეადარა, რაც არაერთგზის თქმულა და დაბეჭდილა ქართულ პრესაში.

ამ არაერთი სიმართლის გარდა ინესა მერაბიშვილმა თავისი ინგლისურენოვანი საჯარო ლექციებით ლონდონსა თუ ევროპის საბჭოში, ასევე ინგლისურენოვანი პუბლიკაციებით (აღსანიშნავია, რომ მის მიერ თარგმნილი გალაკტიონი ვრცელი შესავლითურთ ორჯერ გამოსცა ლონდონმა) კიდევ სხვა სიმართლე უთხრა დასავლეთს გალაკტიონის შესახებ, საკუთრივ ის, რომ გალაკტიონი ერთადერთი დიდი მოაზროვნეა მეოცე საუკუნისა, რომელმაც განიცადა რა მისი თანამედროვე კატაკლიზმები, პიკასოს, სალვადორ დალისა თუ ელიოტის საპირისპიროდ კი არ დაანგრია ადამიანის სახე და არ გამოშიგნა მისი სხეული, არამედ შექმნა ახალი ჰარმონიული პოეტიკა, რომელიც რწმენას, მშვენიერებას, სიკეთეს, ზნეობასა და მშვიდობაზე აღმოცენდა. ამიტომაც იტყვის პოეტი:

მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევლო ჯერ არსმენილი,
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა,
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.

როგორც იმ დღით გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში ითქვა, იქნებ სწორედ ასეთ სიმართლეს გულისხმობდა დიდი აკაკი, როდესაც გორს შემდეგი სტრიქონები მიუძღვნა:

გორო, ქართლის შუაგულო
მეთაურო ქართლისაო,
ადრე ღირსად წამებულო,
დღესაც მთქმელო მართლისაო!

სიტყვაში გამოსვლებს ენაცვლებოდა ბრწყინვალე საკონცერტო ნომრები გორის ქალთა გუნდის, ბავშვთა გუნდის, კვარტეტისა და სხვათა შესრულებით. ინესა მერაბიშვილს ეს დღე სცენაზე მიულოცა მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავმა ლადო ათანელმა, რომელმაც დარბაზი თავისი უბადლო შესრულებით კიდევ ერთხელ განაცვიფრა.

ღონისძიება ჩატარდა ქალაქის მერიისა და გორის მუნიციპალიტეტის კულტურის სააგენტოს მხარდაჭერით. საღამოს მთავარი თავოსანი და ორგანიზატორი გახლდათ ინგლისური ენის პედაგოგი თამარ ფუტკარაძე, რომელმაც წარმოადგინა მოსწავლეთა სამენოვანი მონტაჟი ინესა მერაბიშვილის თარგმანების მიხედვით. მოსწავლეთა ინგლისური ენის ცოდნის დონე იყო განსაკუთრებულად მაღალი.

აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა საზოგადოებას საკუთარი თარგმანები წაუკითხა, მაგრამ, უპირველესად, გულწრფელი მადლობა სტუმრებსა და მასპინძლებს გადაუხადა და თან დასძინა: **„გზა აკადემიკოსობამდე პირველი ნაბიჯებიდან იწყება და მე ვუმადლი გორს, სადაც ჩემმა ოჯახმა მყარ განათლებას, გორის თეატრსა და გორის არაჩვეულებრივ საზოგადოებას ბავშვობაშივე მაზიარა““**.

მისმა შვილიშვილმა, კინორეჟისორმა თორნიკე კოპლატაძემ, შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრეთ: **„მადლობა გორს, რომელმაც ასეთი გამორჩეული ბებია მაჩუქა!“**

საღამოს დასასრულ ინესა მერაბიშვილმა გალაკტიონისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი გორის ქალთა გუნდის გუგუნის ფონზე წაიკითხა. ლექსის დასკვნითი სტროფი არა მარტო დარბაზს, არამედ მთელ საქართველოს ეფინებოდა:

გაშალე ფრთები, მალე გაშალე,
ცას რომ ღრუბელი არ დააჩინო,
ანგელოზები გამოაფხიზლე,
რომ საქართველო გადაარჩინონ.

ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდებულ ღონისძიებას ვესწრებოდი და ვიღებდი მასში მონაწილეობას.

ნუგზარ ბ. რუხაძე.
გორი-თბილისი

ანაკლიის მშენებლობა და განვითარება სხვა პორტებისთვის ტვირთბრუნვის წართმევას არ ნიშნავს!

2019 წლის 7 ივნისს საქართველოს პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე მიწვეულ ეკონომიკის მინისტრს, ქალბატონ ნათია თურნავას მრავალ კითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა – რუსეთის გაზპრომისაგან ბუნებრივი აირის შეძენიდან დაწყებული და ჰესების მშენებლობის საკითხით დამთავრებული.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რაზეც პატივცემულმა მინისტრმა ყველაზე მეტ ხანს ისაუბრა, იყო ანაკლიის პორტისა და მასთან თითქმის ღია კონკურენციაში შესული ფოთის პორტის პერსპექტივების განხილვა. აღნიშნული საკითხი ბოლო დროს მასმედიის ყურადღების ცენტრშია, საზოგადოებრიობაც, ფაქტობრივად, თითქმის დეტალების დონემდეა ინფორმირებული, ამიტომაც ამჟამად მხოლოდ პარლამენტში ხანგრძლივი და ცხარე დებატების კვალობაზე ჩამოყალიბებული პირადი შთაბეჭდილებებისა და დასკვნების თაობაზე მოგახსენებთ.

ჯერ ერთი, ანაკლიის **პორტის მშენებლობა ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია და არაფერი გაკეთდება, რაც მის განხორციელებას დააზიანებს**. ამის თაობაზე ქალბატონმა მინისტრმა რამდენჯერმე ხაზგასმით, კატეგორიულად განაცხადა. უფრო მეტიც, მან აგრეთვე საჯაროდ და არაორაზროვნად აღიარა, რომ **ანაკლია არის არა მხოლოდ კომერციული, არამედ საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროექტი და ერთ-ერთი საშუალება**. ამასთან დაკავშირებით ცალსახად გაცხადდა, რომ ინვესტორების შიში ხელისუფლების მხრიდან ანაკლიის პორტის მშენებლობისადმი გულცივი დამოკიდებულების შესახებ, აბსოლუტურად უსაფუძვლოა;

მეორე, **ფოთისა და ანაკლიის კონკურენტუნარიანობა შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ ამჟამინდელ და, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ უახლოესი მომავლის კონტექსტში**. გრძელვადიან პერსპექტივაში ფოთისა და ანაკლიის პორტები, სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, სხვადასხვა წონით კატეგორიაში აღმოჩნდებიან. **ანაკლიის პორტი მისი მშენებლობის ხუთივე ფაზის დასრულების შემდეგ შეძლებს 10-15-ჯერ მეტი ტვირთბრუნვის უზრუნველყოფას იმასთან შედარებით, რასაც მოახერხებს ფოთის პორტი მოდერნიზაციისა და თვით ფარვატერის რამდენიმე მეტრით გაღრმავების შემთხვევაშიც კი**. ფოთის პორტი, მართალია, სცდება მხოლოდ საქართველოს ინტერესებს და სხვა რეგიონული მოთამაშეების ინტერესის ობიექტსაც წარმოადგენს, მაგრამ ახლა უკვე სამხედრო ტერმინოლოგიას რომ დავესესხოთ, იგი ოპერატიულ-ტაქტიკური დატვირთვის მატარებელი უფროა, მაშინ როდესაც ექსპლუატაციაში შესული ანაკლიის პორტი ცალსახად სტრატეგიული დატვირთვისა და დანიშნულებისაა.

მინისტრმა პრობლემა არ მოაქცია მხოლოდ **ანაკლია vs. ფოთის** ფორმატში. – იმავე კონტექსტში ისაუბრა მან აგრეთვე საქართველოში სხვა პორტების განვითარების პერსპექტივაზეც, საიდანაც შეიძლება ცალსახა დასკვნის გაკეთება, რომ **ანაკლიის პორტის მშენებლობა და განვითარება არ ნიშნავს სხვა პორტებისათვის** (საქართველოს, გარდა ამ ორი პორტისა, გააჩნია აგრეთვე ბათუმისა და ყულევის პორტებიც) **ტვირთბრუნვის წართმევას**. და კიდევ ერთი შედარება: მართალია, მზის სისტემაში ყველაზე დიდი პლანეტა იუპიტერია, თუმცა ეს „ხელს არ უშლის“ სხვა პლანეტების, მათ შორის ჩვენი მშობლიური დედამიწის არსებობას და ორბიტაზე მარადიულ ყოფნას. თანაც, ყველა მოქმედი პორტის უკან ხომ ქალაქი დგას – საკუთარი მოსახლეობით, ინტერესებით, იმედებით, რომელთა უგულებელყოფა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ამჟამინდელი ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას. ფაქტობრივად, მინისტრის მიერ გაჟღერებული სახელმწიფო პოზიცია საქართველოს პორტების მომავალზე, ბიზნესის ბრენდირების პრინციპით რომ ვიხელმძღვანელოთ, გამოიხატა შემდეგი ფორმულა-ალგორითმით : **ანაკლია&ფოთი+K°;**

მესამე, **საქართველოს პორტების მომავალ პოტენციალს, მათ გამტარუნარიანობას, ტვირთბრუნვას კონტურები უფრო მკაფიოდ აქვთ გამოკვეთილი, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიის გავლით ტრანზიტული ტვირთების გაზრდის პერსპექტივას,** რაც ფოთისა და ანაკლიის პორტების უკან მდგარ ბიზნეს-სტრუქტურებში დამატებითი ეჭვიანობის საფუძველს ქმნის როგორც ერთმანეთის მიმართ (აშკარად ვლინდება ერთმანეთისთვის ტვირთების წართმევის ჰიპოთეტური საფრთხით გამოწვეულ შფოთვაში), ისე ხელისუფლებისაგან კეთილგანწყობის მოპოვების იმედისა თუ უკვე მოპოვებული კეთილგანწყობის დაკარგვის საფრთხის ჰიპერბოლიზებაში. ფაქტია, რომ **ჯერჯერობით იდეისა და პრაქტიკული რეალიზაციის მხრივ პორტების პოტენციალის გაზრდისაკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის გამტარუნარიანობისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისაკენ ხელისუფლებისა (პირველ რიგში) და ბიზნესის მიერ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს**. ამიტომ ხელისუფლებას დაჩქარებულ, უკვე თითქმის ავრალურ რეჟიმში მოუწევს სატრანსპორტო კომუნიკაციის ყველა სფეროს (სავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო) მოდერნიზება ისე, რომ მან სინქრონში შეძლოს საქართველოს პორტების პოტენციალის განვითარებასთან ერთად ქვეყნისათვის მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მოტანა;

მეოთხე, იმ ბანალური ჭეშმარიტების მიღმა, რომ ხელისუფლება ცოცხალი ადამიანებისაგან შედგება, იმალება ის გარემოება, რომ სახელისუფლებო იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მყოფი პირები ხშირად არაერთგვაროვნად რეაგირებენ საზოგადოებისა თუ ბიზნესის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სახელმწიფოს პრიორიტეტების რეალიზაცია სახელისუფლებო ვერტიკალის სხვადასხვა საფეხურზე მყოფ საჯარო მოხელეთა მიერ არცთუ იშვიათად არაერთგვაროვნად აღიქმება და რეალიზდება**. მაგრამ სახელმწიფო ინტერესი – ეს არაა ჯაზური კომპოზიცია, რომელშიც რაც მეტია იმპროვიზაცია, მით მეტ მოწონებას და აღფრთოვანებას იწვევს „გურმან“ მსმენელებში. თანაც, როგორც ხშირად ხდება, ასეთი „იმპროვიზაცია“ მოხელეთა კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზე მეტად სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტთან, სისტემურ გადაცდომასა და კლანურ ინტერესებთან ასოცირდება. ამ დროს „თვითშემოქმედი“ მოხელის მიმართ გამოტანილი პერსონალური სადამსჯელო ვერდიქტი (როგორც ეს განხორციელდა ფოთის პორტთან დაკავშირებულ მიწათსარგებლობის ნებართვის გამცემი ჩინოვნიკის მიმართ), პრობლემის მხოლოდ ერთჯერადად მოხსნის საშუალებას წარმოადგენს და არა მის სისტემურ გადაწყვეტას;

დაბოლოს, მეხუთე დასკვნა: ანაკლიისა და ფოთის პორტების ამჟამინდელი ურთიერთდამოკიდებულება, ხატოვნად რომ ვთქვათ, ძალიან ჩამოგავს სამომხმარებლო ბაზარზე ერთმანეთის ორი **შემცვლელი საქონლის** დამოკიდებულებას, რომლის დროსაც ერთის მოხმარების ზრდა მაღალ კორელაციაშია მეორის მოხმარების შემცირებასთან და პირიქით (მაგალითად, კარაქი და მარგარინი). თუმცა ბაზარზე გვხვდება ისეთი საქონლის ფართო არჩევანიც, როდესაც ერთის რეალიზაციის, მოხმარების ზრდა იწვევს მეორის რეალიზაციის, მოხმარების ზრდის სტიმულირებასაც (მაგალითად, ავტომობილები და ბენზინი). ასეთებს **შემავსებელ საქონელს** უწოდებენ. **ეკონომიკის სამინისტროს სტრატეგიული ამოცანაა, უმოკლეს ვადებში მიაღწიოს ანაკლიისა და ფოთის პორტების ზემოთ არსებული შემცვლელობის კატეგორიიდან ურთიერთშემავსებლობის კატეგორიაში გადაყვანას**. ეს ამ პორტების ამჟამინდელ და პერსპექტიულ ინვესტორებს განუმტკიცებდათ რწმენას საქართველოში განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის, ზოგადად ეკონომიკის სტაბილური განვითარების თაობაზე, ჩვენს ქვეყანას კი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში საიმედო და სამართლიან პარტნიორს – შესძენდა მეტ ეკონომიკურ და რეპუტაციულ სარგებელს.

იოსებ არჩვაძე,
სპეციალურად „საქ.რესპუბლიკისთვის“

რუსთავი-თბილისის მარშრუტებზე მგზავრობის ღირებულება იზრდება

1,5 ლარიდან 1,8 ლარის ფარგლებში მოიმატებს მგზავრობის ფასი რუსთავიდან თბილისის მიმართულებით მოძრავი თერთმეტი მარშრუტიდან ექვს მარშრუტზე.

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, რომლის შესახებ 6 ივნისს რუსთავის მერიის მიერ შექმნილმა ტრანსპორტის შემსწავლელმა დროებითმა კომისიამ ხმაურის ფონზე იმსჯელა, 11-ვე მარშრუტს კომპანია „ინტერტრანსი“ განკარგავს. კომპანია მგზავრობის ღირებულების 2 ლარამდე გაზრდას ითხოვდა, რაც, ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის ფონზე, რუსთავის თვითმმართველობამ ხუთი თვის წინ უარყო.

კომპანიას არ წარმოუდგენია მძღოლის მიერ მანქანის იჯარა-ორგანიზების ხარჯები. და, სერთოდ, ჩვენ არ ვიცით, ტარიფიდან როგორ ნაწილდება თანხა. კომპანიამ ეს ინფორმაცია არ მოგვაწოდა, თუმცა მე, როგორც კომისიის წევრს, მაქვს უფლება, ეს ვიცოდე.

სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო დავაში მიმდინარე წლის იანვარში შექმნილი სპეციალური ერთობლივი კომისიის თხოვნით ჩაერთო.

ექსპერტიზის დასკვნით, „ინტერტრანსის“ ადმინისტრაციული ხარჯებისა და მისი კუთვნილი M2 კატეგორიის მანქანების ექსპლუატაციის, ძღოლების ხელფასის, ასევე საწვავ-საპოხ მასალებზე საბაზრო ფასის გათვალისწინებით, „ერთი მგზავრის ღირებულება, საორიენტაციოდ, უნდა შეადგენდეს 1,8 ლარს“.

კომისიაზე, რომელშიც შედიოდნენ საკრებულოს წევრები, მერიის თანამშრომლები და სამოქალაქო აქტივისტები, საკრებულოს წევრმა გიგა ვეფხვაძემ განაცხადა, რომ ექსპერტიზის დასკვნას გაითვალისწინებენ, თუმცა მგზავრობის ფასის დადგენის დროს საკრებულო თავის არგუმენტებს წარმოადგენს. მან „ინტერტრანსის“ წარმომადგენლებს შეახსენა, რომ კომპანიამ კომისიას არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდება მგზავრობის ტარიფი.

„სამხარაულის დასკვნა ჩვენთვის დოგმა არ არის, თუმცა მას გავითვალისწინებთ, რადგან მნიშვნელოვანია.

„ᲐᲥ ᲠᲣᲡᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲞᲝᲠᲢᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ!..“

ᲠᲘᲡᲘ ᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐᲨᲘ?

ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐᲨᲘ შიშით აკვირდებიან სახელმწიფოსა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის მიმდინარე დავას. საქმის დეტალებში კარგად ვერ ერკვევიან, მაგრამ ის კი ცხადად აქვთ გაცნობიერებული, რომ ამ საქმეზეა დამოკიდებული როგორი მომავალი ექნებათ ადგილობრივებს....

„ეჰ, რა გუგუნი იყო აქ და როგორ გახარებული ვუყურებდით. ახლა ეს ყველაფერი გაჩერებულია“, — ამბობს 65 წლის ნანა ჩიქობავა, რომლის აივნიდანაც 100 მეტრში ანაკლიის პორტის შემოღობილი ტერიტორია მოჩანს.

ის ქმართან ერთად რვა წლის წინათ თბილისიდან წინაპრების სახლში დაბრუნდა. ოჯახმა ჯერ ტურიზმის განვითარების პერსპექტივა დაინახა და ანაკლიაში დაბრუნებულებს უკვე პორტის მშენებლობის იდეა და ფინანსური კეთილდღეობის ახალი იმედებიც წამოეწიათ. ოჯახს შინაური ცხოველები ჰყავს, ზაფხულში კი მათი ლამაზი ხის სახლი და სურნელოვანი ბაღი უცხოელ ტურისტებს მოსწონთ.

ანაკლიაში ერთი ღამით საოჯახო სასტუმროს ფასი ერთ ადამიანზე 30 ლარიდან იწყება და 200 ლარსაც სცდება, გააჩნია მომსახურებისა და სასტუმროს ხარისხს. განსაკუთრებით იმატებს ფასი მაშინ, როცა საკურორტო ზონაში მუსიკალური ფესტივალი ტარდება.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებასა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის უთანხმოება დაიწყო, ნანა ჩიქობავა, თანასოფლელებთან ერთად, საინფორმაციო გამოშვებებს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებენ თვალს.

„გემი, რომ მოადგა და სახლის მეორე სართულიდან ვაკვირდებოდით, რაღაც ყველანაირი იმედი იყო. აი, გვეგონა, რომ ყველაფერი ასე გაგრძელდებოდა. მე არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ (ხალხს) გვესმის ის, რომ აქ რუსი ჩვენ პორტს არ გაგვაკეთებინებს. მე ასე მგონია, რომ აქ არ იქნება ის ბუმბერაზი პორტი. ვფიქრობ, რომ ეს იქნება ლამაზი საკურორტო ქალაქი“, — ეუბნება ნანა ჩიქობავა რადიო „თავისუფლებას“.

როდესაც კონსორციუმმა ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონის შესაძლებლობების კვლევა დაასრულა განაცხადა, რომ 20 წლის განმავლობაში აქ 16 000 ადამიანის დასაქმებას და მილიარდზე მეტი აშშ დოლარის ინვესტიციის მოზიდვას შეძლებდა.

აქაურები პორტის მშენებლობას საკუთარ მომავალს უკავშირებენ. ერთი მხრივ, ვისაც საოჯახო სასტუმრო აქვს, მშენებლობაზე დასაქმებულებს ელოდება, მეორე მხრივ კი, ბევრს დასაქმების იმედიც აქვს, თუნდაც მუშად.

„მე ჰიდროინჟინერი ვარ, ანაკლიაში ვცხოვრობ და სამსახურის გამო სახლიდან შორს ყოფნა მიწევს — ხან ახალციხეში, ხან გურიაში, ხან სვანეთში. თუ ეს დაიწყება, აგერ, სახლთან ახლოს მექნება სამსახური“, — ამბობს 23 წლის მერაბ ქვარაია, რომლის ოჯახსაც პატარა კოტეჯი აქვს ანაკლიაში.

ორსაწოლიანი ოთახს ფესტივალის დღეებში ქვარაიები დღეში 150 ლარად აქირავებენ. მათ თავის დროზე კონსორციუმმა, რომელმაც პორტთან ახლოს მცხოვრები მოსახლეები გაასახლა, კომპენსაციის სახით მცირე მიწის ნაკვეთში 30 ათასი აშშ დოლარი გადაუხადა. ამ თანხით ქვარაიებმა სასტუმრო ისევ ანაკლიაში მოაწყვეს და აქაურობის დატოვება არ უფიქრიათ.

ზუგდიდის მერიის ინფორმაციით, ანაკლიაში, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის მოსაზღვრე სოფელია 510 კომლი ცხოვრობს.

ანაკლიაში პორტის მშენებლობის ინიციატივა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებობდა. ნავსადგურის მშენებლობის პირველი მცდელობა 1960-იანი წლების ბოლოს პირსის შენებით შემოიფარგლა. 20 წლის შემდეგ ანაკლიაში პორტის მშენებლობის იდეას რამდენჯერმე დაუბრუნდნენ. მშენებლობისთვის საერთაშორისო ტენდერი ორჯერ 2000-2001 წლებში გამოცხადდა, მაგრამ აფხაზეთთან გამწვავებული მდგომარეობის გამო, ეს პროცესი მაშინ ვერ გაგრძელდა.

2010 წელს ანაკლიის პორტი ისევ აქტუალურია პროექტ „ლაზიკის“ სახელწოდებით, თუმცა ეს იდეაც არ დასრულებულა. ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება“ პორტის მშენებლობის იდეას 2014 წელს მიუბრუნდა და სახელმწიფომ საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა.

ტენდერში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ გაიმარჯვა და მთავრობასთან ხელი მოაწერა საინვესტიციო ხელშეკრულებას. 2017 წელს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა დაიწყო, ერთ წელიწადში საზღვაო სამუშაოები დასრულდა და მას შემდეგ მშენებლობა არ განახლებულა.

მედია ხაზს უსვამს იმას, რომ ბიძინა ივანიშვილს გამოკვეთილად ცუდი დამოკიდებულება აქვს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის მიმართ, თავად მამუკა ხაზარაძე კი ვარაუდობს, რომ მის მიმართ ფულის გათეთრების ბრალდება სწორედ ანაკლიის პორტის შეჩერების მცდელობას უკავშირდებოდა.

„პორტი თუ იქნა, დასავლეთის კი არა, აღმოსავლეთის ხალხსაც წინ წასწევს. ყველასთვის, საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის პორტი არის აღმავლობის ნიშანი და ყველას ძალიან გვინდა, რომ იქნეს. ახლა ისეთი სიტუაციებია, რაც ძალიან გვწყინს. ალბათ, მაინც შეძლებენ... თუ მთავრობა მოინდომებს, ალბათ, შეძლებენ და თუ არა — დავრჩებით 90-იანებში“, — ეუბნება 45 წლის ნენო გაბისონია რადიო „თავისუფლებას“. ადრე მას 3 ტონაზე მეტი თხილის მოსავალი ჰქონდა, ბოლო 2-3 წელია, სხვადასხვა დაავადებისა და მავნებლების გამო ოჯახს თხილი გაუნადგურდა.

ანაკლიის იმ ნაწილში, საიდანაც ზღვა შედარებით შორია, ანაკლიელების კეთილდღეობის სურათი რადიკალურად იცვლება. თუკი სოფლის ცენტრში საოჯახო სასტუმროების მშენებლობა მიმდინარეობს, აქ ფაროსანასა და თხილის მავნებლებს ებრძვიან და კიდევ უფრო მეტი მიზეზი აქვთ, განსაკუთრებული იმედები სწორედ პორტის მშენებლობას დაუკავშირონ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲖᲐᲜᲗᲐᲠᲐᲘᲐ

ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲢᲑᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, გლდანის პატარა ტბაზე ჩინური სახალხო დღესასწაული, ნერგების ფესტივალი გაიმართა. ფესტივალი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ინიციატივით, ჩინეთის სავაჭრო პალატისა და 4Გ მულტიმედია ჯგუფის ორგანიზებით გაიმართა.

გამწვანების აქციის ფარგლებში, ჩატარდა სხვადასხვა ტიპის გასართობი აქტივობა, მათ შორის, ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლების კონცერტი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის იური ნოზაძის განცხადებით, გარემოს გამწვანება და გაჯანსაღება ჩვენი დედაქალაქისა და ქვეყნის პრიორიტეტია.

ნერგების ფესტივალი უკვე სამი წელია, ტარდება და მისი მიზანია გარემოზე ზრუნვა და ჩინელი ხალხის სახელით, საქართველოში გამწვანების ხელშეწყობა.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ - ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ“ ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ და ურუგვაის აღმოსავლურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ურუგვაის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცერემონიების დარბაზში გამოფენა — „აღმოაჩინე უცნობი ევროპა: საქართველო — სიცოცხლის ქვეყანა“ გაიხსნა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბადრი ვადაჭკორიასა და გიორგი შერმაზანაშვილის მიერ გადაღებული საქართველოს ამსახველი ფოტოები.

ღონისძიების სტუმრებს სიტყვით მიმართეს ურუგვაიში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ირაკლი ყურაშვილმა და ურუგვაის საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის გენერალურმა დირექტორმა ელჩმა რიკარდო ვარელამ.

თქვენ არ გაქვთ კონსოლიდირებული შესყიდვები, რომლითაც შეიძლება ტარიფი გაიაფდეს. სამხარაულის ბიუროს არ გაუთვალისწინებია მგზავრთა ნაკადის ცვლილების კოეფიციენტი. კომპანიას არ წარმოუდგენია მძღოლის მიერ მანქანის იჯარა-ორგანიზების ხარჯები. და, სერთოდ, ჩვენ არ ვიცით, ტარიფიდან როგორ ნაწილდება თანხა. კომპანიამ ეს ინფორმაცია არ მოგვაწოდა, თუმცა მე, როგორც კომისიის წევრს, მაქვს უფლება, ეს ვიცოდე“, — თქვა გიგა ვეფხვაძემ კომისიის სხდომაზე, რომელიც 2.5 საათს გაგრძელდა.

კომისიის წევრმა სამოქალაქო სექტორიდან გივი შანიძემ კი, აღნიშნა, რომ „ინტერტრანსის“ სამარშრუტო მანქანები, გარდა იმისა, რომ მგზავრობისთვის არაკომფორტულია, არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე.

„კომპანია არღვევს სატენდერო პირობებს და მასთან კონტრაქტი უნდა გაწყდეს“. გივი შანიძის ამ განცხადებას კამათი მოჰყვა.

„თუ მგზავრობის ტარიფს არ გაზრდით, „ინტერტრანსი“ შეწყვეტს რუსთავის თვითმმართველობასთან ურთიერთობას და მერე ნახეთ სატრანსპორტო ქაოსი“, — თქვა კომპანიის დირექტორის მოადგილემ თენგიზ სანიკიძემ და დასძინა, რომ მხოლოდ მანქანის ძრავის შეკეთება 2000 ლარიდან 4500 ლარამდე გაიზარდა.

„ლარიანი წიწიბურა დღეს 3 ლარი ღირს. ყველაფერი გაძვირდა, გაძვირდა საწვავი, გაძვირდა მანქანის ნაწილები“, — თქვა თენგიზ სანიკიძემ. პასუხად, კომისიის წევრმა ალექსანდრე ბერიძემ განაცხადა, რომ მართალია, „ინტერტრანსის“ მანქანებით მგზავრობა არაკომფორტულია, განსაკუთრებით ზაფხულში, რადგან კონდიციონერები არ მუშაობს, მაგრამ კომპანიასთან ხელშეკრულების გაწყვეტა გამოსავალი არ არის.

„ინტერტრანსთან“ დაპირისპირება ჩიხში შეგვიყვანს, ამიტომ კომპრომისი უნდა მოვძებნოთ“, — თქვა ალექსანდრე ბერიძემ, საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ. მისი თქმით, კომისიამ სამუშაო დოკუმენტები და რეკომენდაციები უნდა გადაუგზავნოს ქალაქის მერს, რომელიც ტარიფის გაზრდის შესახებ საკრებულოს მიმართავს.

საკრებულოს წევრმა გურამ კვარაცხელიამ კი განაცხადა, რომ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ კვალიფიციური დასკვნა წარმოადგინა, რომელსაც თვითმმართველობა თავს ვერ აარიდებს.

„მაგრამ მოსახლეობას კარგად უნდა ავუხსნათ, რატომ იზრდება მგზავრობის ტარიფი“, — თქვა გურამ კვარაცხელიამ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრმა.

„ინტერტრანსი“ რუსთავი-თბილისის მიმართულებით და უკანა მარშრუტზე ხელოვნური მონოპოლიაა, რომელსაც, სატენდერო პირობების თანახმად, ყოველდღე დაახლოებით 200 მიკროავტობუსი უნდა გამოჰყავდეს. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებული მონიტორინგის მიხედვით, კომპანია ყოველდღიურად საშუალოდ 125 ათას მგზავრს ემსახურება.

„საწვავის ღირებულების გაზრდის გათვალისწინებით, კომისია მერს მგზავრობის ტარიფის გაზრდის რეკომენდაციით მიმართავს, შემდეგ მისი გადაწყვეტილების პროექტზე საკრებულო იმსჯელებს“, — თქვა ბესიკ ტოგონიძემ. მან კომისიის წევრებს შეახსენა, რომ 11-დან ხუთ მარშრუტზე მგზავრობის ღირებულება არ გაიზრდება, რადგან ის ისედაც ძვირია და, საბოლოო დანიშნულების ადგილის გათვალისწინებით 2 ლარიდან 2,5 ლარამდე მერყეობს.

რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა მოცემულ საკითხზე ჟურნალისტებს არ გასაუბრებია.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ

რუსეთი პუტინის შემდეგ

განვითარების სავარაუდო სცენარები

2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ პუტინის რუსეთი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და პროგნოზირებადი რეჟიმი — ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად. ეს არის თავის თავში დარწმუნებული, რეპრესიებზე და მოსახლეობის მდუმარე მხარდაჭერაზე დაყრდნობილი ავტორიტარული რეჟიმი.

ამიტომაც, ექსპერტები ცდილობენ გაიხედონ მომავალში პუტინის შემდეგ, რადგანაც დღევანდელ დღეზე საუბარი ზედმეტად მოსაწყენია.

ვაშინგტონში მოქმედმა ანალიტიკურმა ცენტრმა „თავისუფალი რუსეთი“, რომელსაც ხელმძღვანელობს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე დევიდ კრამერი, მოამზადა 170-გვერდიანი მოხსენება თემაზე „როგორი შეიძლება იყოს რუსეთი პუტინის შემდეგ“.

მოხსენების ავტორებს შორის არიან ცნობილი რუსი ექსპერტები და ყველაზე ინფორმირებული კომენტატორები, რომლებმაც სხვებზე უკეთესად იციან, რა მემკვიდრეობას დატოვებს ყოვლისშემძლე რუსეთის პრეზიდენტი.

ისინი არ ცდილობენ მათ შორის არსებული აზრთა სხვაობის მიჩქმალვას, თუმცა ერთიანები არიან ძირითად დასკვნებში — მათ შორის მთავარი ისაა, რომ რუსეთი წლების შემდეგ კვლავ იქნება დამოკიდებული ნედლეულის ექსპორტზე.

ინდუსტრიალიზაციებზე და ნავთობდამოკიდებულების შემცირებაზე საუბრების მიუხედავად, 2017 წელს რუსეთის ბიუჯეტის 40% მოდიოდა სწორედაც გაზის და ნავთობის ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე, მაშინ როდესაც 2000 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 25%-ს.

თუმცა, განვითარების ამ მოდელს ხელს უშლის ახალი ტენდენციები — კერძოდ, ელექტრომობილების ინდუსტრიის სწრაფი ზრდა, გაზის ბაზარზე კონკურენციის გამძაფრება და ნახშირზე მოთხოვნის შემცირება — მაშინ, როდესაც რუსეთი არის მსოფლიოში მე-3 ნახშირის ექსპორტის მხრივ.

პროგნოზის არც ერთი ავტორი არ მიიჩნევს შესაძლებლად ამ დამოკიდებულების შესუსტებას, თუმცა არც საერთაშორისო მოთხოვნის კლებას წინასწარმეტყველებენ იმ დონეზე, რომ ამან დაანგრიოს რუსეთის ეკონომიკას.

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ნავთობის ფასი დაეცემა 30 დოლარზე დაბლა და ეს გაგრძელდება დიდი ხნის მანძილზე, დასავლურ სანქციებთან ერთად, ეს იქნება დიდი გამოწვევა რუსეთისთვის.

კიდევ ერთი დასკვნა — მომავალში გაიზრდება რუსეთის დამოკიდებულება ჩინეთზე. ორი ქვეყნის ალიანსი გაძლიერდება — რუსეთი განაგრძობს ჩინეთში ნედლეულის გაყიდვას, ხოლო ჩინეთი რუსეთში — სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს.

სამხედრო თანამშრომლობა მოსკოვს და პეკინს შორის გაძლიერდება მათი ანტიამერიკული პოზიციებიდან გამომდინარე.

მოხსენების თანახმად, ერთ-ერთი ყველაზე რეალისტური სცენარის მიხედვით, რუსეთი გადაიქცევა ჩინეთის სატელიტქვეყნად, დაეხმარება ჩინეთს სამხედრო სიძლიერის ზრდაში და მისცემს პეკინს შიდა ბაზრის ჩაყლაპვის საშუალებას.

დასავლური სანქციები და კონფრონტაცია აშშ-სთან, ამ სცენარს სულ უფრო სავარაუდოს ხდის, იმის მიუხედავად, რომ რუსეთის შიგნით, მოსახლეობაში ნდობა ჩინეთის მიმართ ნულოვანია და პირიქითაც, ჩინეთი აღიქმება როგორც პოტენციური მოწინააღმდეგე.

პუტინის შემდგომ რუსეთში არაა მოსალოდნელი ძვირადღირებული სამხედრო ავანტიურები, თუმცა ყაზახეთი და ბელორუსია მაინც რჩებიან საფრთხის ქვეშ.

მაგალითად, შესაძლოა, ასტანამ გადაწყვიტოს დაახლოება პეკინთან და ამ შემთხვევაში რუსეთი დაკარგავს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუფერს, ამიტომაც, ექსპერტები არ გამორიცხავენ რუსეთის მხრიდან შესაძლო სამხედრო აგრესიას ყაზახეთის წინააღმდეგ.

თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად იქნება რუსეთის არმია ასეთი შეჭრისთვის მზად, რადგანაც არავინ იცის ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეალური მდგომარეობა — სირიაში და უკრაინაში რუსეთმა მოიგო ომები სუსტ და დეზორგანიზებულ მოწინააღმდეგეებთან. ჯარი ცუდად ფინანსდება, ხოლო დანაკარგები პირად შემადგენლობაში ძალზე არაპოპულარულია ქვეყანაში — ბევრი რუსი ოცნებობს იმპერიის აღდგენაზე, თუმცა მათი დიდი ნაწილი არაა მზად მსხვერპლის გასაღებად.

ექსპერტების აზრები გაიყო პუტინის ირგვლივ შეკრებილი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის ქცევის შეფასებისას.

კომენტატორების ნაწილი მიიჩნევს, რომ პუტინის შემდეგ გაიზრდება არალიალური დამოკიდებულება მოსკოვისადმი, ნაწილი კი თვლის, რომ ისტებლიშმენტი დაინტერესებული იქნება არსებული მდგომარეობის შენარჩუნებით და ამიტომაც მას არ გააჩნია აჯანყების მოტივაცია.

საუბარი ხომ ქვეყანაზეა, სადაც ეკონომიკის 70% სახელმწიფოს ხელშია, შესაბამისად, მთელი სიმდიდრეები ნაწილდება ცენტრალიზებული წყაროდან, რომელიც აკონტროლებს ყველას და ყველაფერს.

შესაბამისად, 170-გვერდიანი მოხსენებიდან იქმნება მტკიცე და მდგარდი სისტემის სურათი, რომელიც მზადაა პუტინის შემდეგ ძალაუფლების რბილი გადაბარებისთვის. დასავლეთისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება ავტორიტარული და უკიდურესად ცენტრალიზებული რუსეთი, ოღონდ შერბილებული საგარეო პოლიტიკით, რომელიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უარს იტყვის უკრაინის დანაწევრებაზე და დასავლეთში საკუთარი პროპაგანდით და კიბერჩარევებით საზოგადოებრივი აზრის გახლეჩის მცდელობებზე.

თუმცა, არასდროს შეიძლება ისეთი ფაქტორის იგნორირება, როგორც საზოგადოებრივი აზრია.

რა თქმა უნდა, დღევანდელი რუსეთი ძალიან განსხვავდება 90-იანი წლების ქვეყნისგან და პუტინი მუდმივად მუშაობს ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც გამორიცხავს რეჟიმის სწრაფ და მოულოდნელ ცვლილებას ძალით, ან ქუჩიდან. მან შექმნა ძალიან ხისტი სისტემა, რომელსაც თანაბრად აერთიანებს როგორც შიში, ისე კორუფცია და დიდი ფული.

მაგრამ საბოლოო ჯამში, ბევრი, გაციცლებით უფრო ხისტი რეჟიმები ჩამოშლილა იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ შეაფასა რიგითი ადამიანების უკმაყოფილების ზრდა.

ადგილობრივი მნიშვნელობის პროტესტები, მაგალითად, სკვერის გაჩეხის, გიგანტური ნაგავსაყრელის მშენებლობის და სხვა ლოკალური მოვლენების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება რევოლუციის მოახლოების ნიშნად.

თუმცა, ისინი, ვინც ცხოვრობდნენ რუსეთში სსრკ-ს ბოლო წლებში, დაინახავენ ამ პროტესტების ენერგიას — რეჟიმს არ დარჩა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების ბერკეტები, შესაბამისად, შორეულ პერსპექტივაში სოციალური გამოსვლები მთელი ქვეყნის მასშტაბში სავსებით რეალურია.

სავარაუდოდ, უკმაყოფილება გაიზრდება პუტინის შემდეგ, როდესაც ქვეყანას არ ეყოლება ასეთი პოპულარული და გავლენიანი ლიდერი, რომლის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავს ვერავინ.

ასეთ აფეთქებებს ემსხვერპლა არაერთი დიქტატორული რეჟიმი და ეს ვარიანტი მოითხოვს სერიოზულ შესწავლას.

ამგვარი რევოლუციის შემთხვევაში ყველა დღევანდელი გეოპოლიტიკური გათვლა დაკარგავს აზრს და ამავე დროს, ახალი რეალობა მისცემს დასავლეთს რუსეთთან ახალი ურთიერთობების დამყარების საშუალებას.

ამ დროს დასავლეთს მოუწევს უფრო ჭკვიანი და რაციონალური პოლიტიკის გამომუშავება, ვიდრე ეს იყო 30 წლის წინათ, როდესაც გაჩნდა პირველი ასეთი შანსი.

COMMERSANT.GE

„შემომეხარჯა“, „შემომეჭამა“

დედოფალ ელისაბედ II-ის ოფიციალური დაბადების დღის აღსანიშნავად დიდი ბრიტანეთის საელჩოში საზეიმო მიღება გაიმართა. დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბატონმა Justin McKenzie Smith-მა ქართულად მიმართა დამსწრე საზოგადოებას — „საქართველოს დიდი და ნათელი მომავალი აქვს, რადგან მისი ნიჭიერი თაობა აგრძელებს ილია ჭავჭავაძის გზას — „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. მე ვიმყოფებოდი ოკუპაციის ხაზთან განლაგებულ სკოლებში და გავიცანი მოსწავლეები, რომლებიც არამარტო კარგად საუბრობენ ინგლისურად, არამედ სერიოზულ პოლიტიკურ დებატებს მართავენ ინგლისურ ენაზე“.

ბატონმა ელჩმა ქართული ჟარგონის ბრწყინვალე ცოდნაც გამოავლინა და ლამაზად გამოიყენა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „შემომეხარჯა“, და „შემომეჭამა“. ეს სიტყვები მისივე ინგლისურენოვანი განმარტებით ისეთი პოპულარული გახდა, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა მაისურებზეც კი დაიწერეს.

რევაზ თოფურია

ნეიტრალიტეტი ნატოსთან პარტნიორობას არ გამორიცხავს



ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის თქმით, ავსტრიის, ფინეთისა და შვედეთის მაგალითი აჩვენებს, რომ ნეიტრალიტეტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს. ეს განცხადება იენს სტოლტენბერგმა სერბულ გამოცემა „პოლიტიკასთან“ ინტერვიუს დროს გააკეთა. ამასთან, სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ არაპროგნოზირებად სამყაროში რუსეთი ნატოსთვის საფრთხეს წარმოადგენს.

„რუსეთი სულ უფრო აგრესიული ხდება. კიბერ და ჰიბრიდული საფრთხეები, არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში, ტერორისტული საფრთხის გავრცელება — ამ საფრთხეებზე საპასუხოდ ნატო ცივი ომის პერიოდის კოლექტიური თავდაცვის ადაპტაციას სწრაფად ახდენს“, — განაცხადა სტოლტენბერგმა. სტოლტენბერგის თქმით, ნატო მზადაა, 30-ე წევრად ჩრდილოეთ მაკედონია მიიღოს, რაც ბალკანეთის რეგიონს სტაბილურობას მოუტანს.

ტრამპი ტრანსგენდერების წინააღმდეგ

დონალდ ტრამპმა აუკრძალა ტრანსგენდერებს ამერიკის არმიის სამხედრო ნაწილებში სამსახური, რომლის მიზეზადაც დაასახელა მათ მიერ დიდი რაოდენობით ნარკოტიკების მოხმარება და ნარკოდამოკიდებულება. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას არ უნდა ამერიკის ძლიერ არმიაში მსგავსი სახის ნაკლოვანებები იხილოს.

ირანის ახალი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა

ირანმა ეროვნული წარმოების უახლესი კომპლექსი, **khordad** 15 წარმოადგინა, რომელსაც 120 კილომეტრის რადიუსში შეუძლია ერთდროულად 6 სამიზნის განადგურება. ირანის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ანტისაჰაერო სისტემას შეუძლია აგრეთვე აღმოაჩინოს 85 კილომეტრზე და გაანადგუროს 45 კმ-იან რადიუსში სტელსის ტექნოლოგიით დამზადებული სამხედრო თვითმფრინავები.

დღევანდელი ადამიანი - დედამიწის ყველაზე მტაცებელი არსება!

გასულ წელს, ავსტრალიის სენატმა გადაწყვიტა საგანგებო გამოძიება ჩაეტარებინა და შეესწავლა ის, თუ რა გავლენას მოახდენს კლიმატური ცვლილებები სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ახალი ანგარიშის თანახმად, რომელიც მელბურნში სულ რამდენიმე დღის წინ, 30 მაისს გამოქვეყნდა, კლიმატური ცვლილებები არა მარტო ავსტრალიას, არამედ მთელ კაცობრიობას ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის.

უფრო ზუსტად: მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ კლიმატური ცვლილებები „ეროვნული უსაფრთხოებისთვის მიმდინარე და ეგზისტენციალურ რისკს წარმოადგენს“. ამასთან, ისეთ რისკს, რომელიც „განადგურების საფრთხეს უქმნის დედამიწაზე შექმნილი ინტელექტუალური სიცოცხლის ფორმის არსებობას, ან პერმანენტულად და დრამატულად გაანადგურებს მისი მომავალი განვითარებისთვის აუცილებელ პოტენციალს“ — ნათქვამია ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

კვლევის ერთ-ერთი ავტორია გადამდგარი ადმირალი, თავდაცვის სწავლებათა ცენტრის პროფესორი კრის ბარი, რომელიც ავსტრალიის თავდაცვის ძალებს 1998-2002 წლებში ხელმძღვანელობდა. ის დღეს გლობალური სამხედრო მრჩეველთა საბჭოს წევრიცაა და კანბერაში მდებარე ავსტრალიის ეროვნულ უნივერსიტეტში, კლიმატური ცვლილებების ინსტიტუტში მუშაობს.

კრის ბარმა ავსტრალიის სენატს მოახსენა, რომ პირველი და მთავარი საფრთხე, რომელიც დედამიწაზე ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება, ბირთვული ომია. მეორე — ადამიანის საქმიანობითვე გამოწვეული გლობალური დათბობა, რაც კაცობრიობას ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დააყენებს.

ავსტრალიელ მეცნიერთა ანგარიში მომდევნო 30 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზს აკეთებს. მისი ავტორები აღნიშნავენ, რომ ადამიანთა მოდგმა, რომელიც დღეს 7.5 მილიარდს შეადგენს, დედამიწაზე მცხოვრებ არსებებს შორის ისედაც უკვე ყველაზე მტაცებელი სახეობაა. მაგრამ, როცა მოსახლეობა 10 მილიარდს მიაღწევს, ადამიანთა ქცევაში კიდევ უფრო დრამატული, ფუნდამენტური ცვლილებები მოხდება.

გლობალური დათბობის შედეგად მომხდარი წყლის დონის მატების გამო, დაახლოებით მილიარდი ადამიანი საცხოვრებელ ადგილს დატოვებს და შედარებით უსაფრთხო ტერიტორიისკენ დაიძვრება. ორ მილიარდამდე ადამიანს სასმელი წყლის პრობლემა გაუჩნდება. სუბტროპიკულ რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების კოლაფსი მოხდება და საკვების უკმარისობის პრობლემა მთელ მსოფლიოში გავრცელდება.

მოსალოდნელი შედეგების ზუსტი გათვლა და დაანგარიშება თითქმის შეუძლებელია, რადგან ეს „კაცობრიობის განვითარების ბოლო ათასწლეულის გამოცდილებას სცდება“. თუმცა, განვითარების არსებული ტრაექტორიის ლოგიკური ანალიზი შესაბამისი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნის შუა წლების მიჯნაზე, დაახლოებით 2050 წლამდე, მეცნიერები საერთაშორისო მოწყობაში მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებს ელიან. „დედამიწაზე ადამიანთა სიცოცხლე შესაძლოა განადგურების გზაზე იყოს, თანაც ყველაზე საშინელი გზით“ — აღნიშნავს პროფესორი კრის ბარი.

მსგავსი პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, ანგარიშის ავტორები ფიქრობენ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი სცენარი გარდაუვალი არ არის. მაგრამ, იმისთვის რომ კაცობრიობა შექმნილ საფრთხეს გადაურჩეს, სახელმწიფოთა მთავრობების მხრიდან სასწრაფო და შეთანხმებული ნაბიჯებია აუცილებელი. საჭიროა დაახლოებით „იმავე მასშტაბის ქმედება, როგორიც ეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, საგანგებო მობილიზაციის დროს“ გახდა შესაძლებელი.

ავსტრალიური ანგარიშის ავტორები არ არიან პირველები, ვინც კაცობრიობისთვის კლიმატური ცვლილებებით შექმნილ საშიშროებას ეგზისტენციალურ საფრთხედ აფასებენ. ზუსტად ერთი წლის წინ, ანალოგიური განცხადება გააკეთა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა, რომელმაც ავსტრიაში მიმდინარე საერთაშორისო სამიტს მიმართა.

„ყოველდღიურად მიწევს თვალის გასწორება ჩვენი პრობლემური და რთული სამყაროს წინაშე არსებული გამოწვევებისთვის. მაგრამ, არც ერთი საფრთხე არ არის ისეთი საშიში, როგორც კლიმატური ცვლილებები. თუკი ჩვენ ვერ შევძლებთ ამ გამოწვევის დამარცხებას, სხვა დანარჩენი კიდევ უფრო გაიზრდება და დაღუპვის საფრთხეს შეგვიქმნის. კლიმატური ცვლილებები ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ეგზისტენციალური საფრთხეა, რომელიც პლანეტაზე არსებული სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ემუქრება, მათ შორის და განსაკუთრებით — კაცობრიობის სიცოცხლეს“.

ეს განცხადება გააკეთა ანტონიო გუტიერეშმა ვენაში, 2018 წლის 15 მაისს.

„ეს არ არის ტექნოლოგიური ან სამეცნიერო პრობლემა, არამედ ეს ეხება საკაცობრიო, სოციალ-პოლიტიკურ ფასეულობებს“ — აღნიშნავს პროფესორი უილ შტეფენი ავსტრალიურ ანგარიშთან დაკავშირებით. მისი თანაავტორები პროფესორ კრის ბართან ერთად არიან დევიდ სპრატი, კვლევების დირექტორი კლიმატის აღდგენის ეროვნულ ცენტრში და იან დანლოპი, ავსტრალიის ქვანახშირის ასოციაციის დირექტორი. ანგარიშის დეტალურად გაცნობა შესაძლებელია ავსტრალიის კლიმატის აღდგენის ეროვნული ცენტრის გამოცემაში Breakthrough.

მაია ქაცარავა

◎ **წარსულიდან**

საზოგადოებრივიც, პირადიც...

უნიტაზი, ტუალეტის ქაღალდი, საპონი, ცივი და თბილი წყალი — ამ ნივთების გარეშე ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო...

დღესდღეობით მსოფლიოში უძველეს საპირფარეშოდ თანამედროვე პაკისტანის ტერიტორიაზე ქვის ნაგებობა ითვლება, რომელიც კანალიზაციასთან დაკავშირებული დასაჯდომითაა აღჭურვილი. ეს ტუალეტი საკმაოდ სოლიდური ასაკისაა — დაახლოებით 4,5 ათასი წლისა.

მსგავს საპირფარეშოებს ძველ ჩინეთშიც, ეგვიპტეშიც, რომშიც აშენებდნენ, ეს უკანასკნელი კი მათ კეთილმოწყობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. სწორედ იქ გაჩნდა თავდაპირველად საზოგადოებრივი ტუალეტებიც. როცა იმპერატორმა ვესპასიანემ საპირფარეშოთი სარგებლობაში ფულის გადახდა დააწესა, ამით მისი ვაჟიშვილი ტიტუსი აღშფოთდა, რადგან მიაჩნდა, რომ არასაკადრისია საიმპერატორო ხაზინის ამ გზით შევსება. სწორედ მაშინ ბრძანა ვესპასიანემ საქვეყნოდ ცნობილი ფრაზა — „ფულს სუნი არა აქვს!“, მას შემდეგ კი მთელ იმპერიაში საზოგადოებრივი საპირფარეშოები ფასიანი გახდა.

ყველაზე დიდი ფუფუნებით პატრიციებისთვის განკუთვნილი საპირფარეშოები იყო მოწყობილი, რომლებსაც მარმარილოთი აპირკეთებდნენ, საკმეველს წვავდნენ, მონები თავიანთი სხეულებით დასაჯდომებს ათბობდნენ. არაკეთილხმოვანების დასახშობად კი ორკესტრებიც უკრავდნენ...

უბრალო ხალხი იაფფასიან საპირფარეშოებში დადიოდა. ეს ნაგებობა ჩვეულებრივი ფიცრული იყო, რომელსაც იატაკი გამოჭრილი ჰქონდა. ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უფასოდაც შეეძლოთ, ამისთვის ბაზარში უნდა წასულიყვნენ და მეტყავე მოენახათ, ისინი მოსაშარდად ჭურჭელს ხალისით აძლევდნენ, შარდს კი ტყავის გამოსაყვანად იყენებდნენ. ამდენად, დაზარალებული არავინ რჩებოდა.

ანტიკური ცივილიზაციების რღვევასთან ერთად წარსულს ჩაბარდა საქალაქო კანალიზაციებიც და საზოგადოებრივი საპირფარეშოებიც. შუასაუკუნოვან ციხე-დარბაზებში საპირფარეშოები კი იყო, მაგრამ რომაულებს ვერც შეედრებოდნენ, მათ ციხე-დარბაზების გამოწეულ ნაწილებში აწყობდნენ, კანალიზაციის მაგივრობას კი გარშემო თხრილი ასრულებდა. ამის წყალობით, ციხე-დარბაზის „დაყნოსვა“ ნებისმიერ მგზავრს შორიდანვე შეეძლო.

არადა, ზოგჯერ ციხე-დარბაზს ირგვლივ არანაირი თხრილი არ ჰქონდა და მაშინ მოსაქმებულისთვის რეზერვუარს ნაგებობის ქვეშ აწყობდნენ, რასაც სხვა თუ არაფერი, აუარება „უხერხულობა“ ახლდა. 1183 წელს გერმანიაში, ერფურდის ციხე-დარბაზში იატაკი ჩაინგრა და იმპერატორი ფრიდრიჰი მთელი თავისი კარის ამალით შიგ ნარცხით სავსე ორმოში ჩავარდა. თავად იმპერატორის გადარჩენა სასწაულით მოახერხეს, მაგრამ ბევრი დიდგვაროვანი კი დაიხრჩო...

ქალაქებში მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იყო: მოსახლეობა ღამის ქოთნებს იყენებდა, რომელთა შიგთავსს ფანჯრებიდან ქუჩაში ღვრიდნენ. ცნობილია, რომ შუასაუკუნოვანი პარიზის ქუჩები ნარცხის ბინძურ ნაკადებს წარმოადგენდა.

საბედნიეროდ, უსუფთაობის მყარალი სუნი საინჟინრო აზრის კარგი სტიმულატორი გამოდგა, რის შედეგად 1596 წელს **ჯონ ჰარინგტონმა** ინგლისის დედოფალს ჩასარეცხი ავზით აღჭურვილი ღამის ქოთანი მიართვა. სამწუხაროდ, დედოფალს ციხე-დარბაზში არც კანალიზაცია ჰქონდა გაყვანილი, არც წყალსადენი, ამიტომ მშვენიერი ლარნაკის ქვეშ წყლიანი რეზერვუარის მოთავსება გახდა საჭირო. მაგრამ, იმის გამო, რომ ამის შესაძლებლობა ყველას არ ჰქონდა, ამ უნიკალურმა კონსტრუქციამ გავრცელება ვერ ჰპოვა.

თუმცა, შემდეგ ინგლისელმა მესაათემ **ჯონ კამინგსმა** სრულყო ჰარინგტონის კონსტრუქცია: მან წყლის ჩამკეტიანი მოწყობილობა გამოიგონა, რომელიც ხელს უშლიდა უნიტაზიდან ჰაერის ამოსვლას. მას შემდეგ საპირფარეშოებს „ვატერ-კლიზეტები“ უწოდეს, რომელიც ინგლისური სიტყვების „Water“-ის (წყლის) და „Closet“ (კარადის) ნაწარმოებია.

შემდეგ კი სამეცნიერო აზრი კიდევ უფრო წინ წავიდა — გაჩნდა დასაჯდომები, გაუმჯობესდა ჩასარეცხი ავზები, თუმცა ნარცხისგან ქალაქების ქუჩების გაწმენდა მხოლოდ მე-19 საუკუნეშიღა მოხერხდა, ხოლო ქოლერის საშინელი ეპიდემიების შემდეგ, ევროპის ქალაქების ხელისუფლებმა სრულფასოვანი საკანალიზაციო კომუნიკაციების გაყვანა და წყლის გასუფთავება დაიწყეს.

სწორედ მაშინ იყო, რომ ევროპაში ხელმეორედ გაჩნდა საზოგადოებრივი ტუალეტები: 1852 წლის 2 თებერვალს ლონდონში მამაკაცების პირველი საჯარო საპირფარეშო გაჩნდა. ქალბატონებს კი რამდენიმე დღის მოცდა მოუწიათ — მათთვის ტუალეტი 11 თებერვალს გაიხსნა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ წინ, საქართველოვ!

„ოქროთი“ დავხურეთ

ესპანეთის ქალაქ პონტევედრაში გამართულ ახალგაზრდა ფალავანთა ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრებმა რამდენიმე დღის წინათ 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მერე ხალიჩა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმოთ. ჩვენმა გუნდმა შედარებით მოკრძალებული შედეგით – ერთი ოქროსა და ორი ბრინჯაოს ჯილდოთი დაასრულა ასპარეზობა: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მირიან მაისურაძე (86 კგ) ავიდა, ხოლო გოგა მამიაური (74 კგ) და ვასილ ხვისტანი (125 კგ) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

მირიან მაისურაძემ სტარტზე აზერბაიჯანელი ფუად მაილოვი დაამარცხა (14:6), შემდეგ მოლდოველ ივან ნედეალკოს მოუგო (2:1), ნახევარფინალში უკრაინელი დემიდ კარაჩენკო დაჯაბნა (11:3), გადამწყვეტ პაექრობაში კი სომეხ მჰერ მარკოსიანს სძლია (3:2).

გოგა მამიაურმა ზედიზედ ორ მეტოქეს აჯობა – სომეხ ჰრაირ ალიხანიანსა (12:9) და უკრაინელ იევჰენი დუბოვს (13:3), მაგრამ ნახევარფინალი მომავალ ჩემპიონთან – რუს დმიტრი კუპრინთან დათმო (2:9). დამამშვიდებლის ფინალში ჩვენებურმა აზერბაიჯანელ ნასიბ ისაევს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა (10:0).

ვასილ ხვისტანი სულ ორჯერ გავიდა ხალიჩაზე: მეოთხედფინალში უკრაინელ იური იძინსკისთან დამარცხდა (0:10). ეს უკანასკნელი ფინალში გავიდა და ქართველმა მოჭიდავემ დამამშვიდებელში გადაინაცვლა, სადაც ბელარუსი მიკიტა ჰორჰუნი წმინდად დაამარცხა და მესამე ადგილი დაიკავა.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მარცხი „აიაზე“

ქუთაისის „აია არენამ“ მორაგბეთა საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა: ერთმანეთს „საქართველო XV“ და ინგლისის საგრაფოების ნაკრები დაუპირისპირდნენ. ეს სერიის პირველი მატჩი იყო. პაექრობა სტუმართა იერიშებით დაიწყო და ორი ზუსტი საჯარიმო დარტყმით ინგლისელები 6:0 დაწინაურდნენ. მე-12 წუთზე გურამ ქანდაურაშვილმა ალამთან ლელო გაიტანა, მაგრამ გარდასახვა არაზუსტი გამოდგა. რამდენიმე წუთში ქართველი მორაგბეები მაინც დაწინაურდნენ – ნინიძემ კარის წინ 15 მეტრიდან საჯარიმო გაიტანა – 8:6. შესვენების შემდეგ ინიციატივას ბრიტანელები დაეუფლნენ და მატჩიც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს –28:15 გაიმარჯვეს. დღეს თბილისში „ავჭალაზე“ ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. დასწრება თავისუფალია.

ქუთაისში „საქართველო XV-მ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მამუკა ნინიძე, გურამ ქანდაურაშვილი, რევაზ ჯინჯიხაძე, ბექა ურჯუკაშვილი, ალექსანდრე სვანიძე, დავით მოძღვრიშვილი, ვაჟა ხუციშვილი, ზურაბ ერისთავი, ბექა მამრიკიშვილი, რევაზ წიკლაური, ლაშა ჯაიანი, ალექსანდრე ქოიავა, გურამ შენგელია, კობა ჯიმშელეიშვილი, თორნიკე აქუბარდია, ლევან ლომოური, ვახტანგ ქვათაძე, ნოდარ მექერიშვილი, მიხეილ ბაბუნაშვილი, ვანო ფუტკარაძე, ხვიჩა ბუჯიაშვილი, ბეჟან გავაშელიშვილი, გიორგი ნათელაშვილი, **მთავარი მწვრთნელი** ბესიკ ხამაშურიძე.

ლაშა დიდია

შორია სამხრეთ აფრიკამდე

არგენტინაში მიმდინარე მსოფლიოს რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის მეორე ტურში საქართველოს ნაკრები (თემურ ჭიჭინაძე, ზურაბ ქავთარაძე, დემურ თაფლაძე, ლაშა ლომიძე, ოთარ ლაშხი, თედო აბჟანდაძე (კაპ.), მიხეილ ალანია; ლუკა აზარიაშვილი, ვანო კარკაძე, გია ხარაიშვილი, ტატო გვიმრაძე, იოანე იაშაღაშვილი, იოსებ გუშარაშვილი, კობა კოლოტაური, ბექა ყორიაული, ლუკა ნიორაძე, ნიკა ღვალაძე, ზაურ თევდორაშვილი, ვახტანგ ჯინჭარაძე, გიორგი მარგალიტაძე, სანდრო მარგიანი, კოტე მარჯანიშვილი, ირაკლი სიმსივე, გივი ცინცაძე, პაატა ბურჭულაძე, დაჩი პაპუნაშვილი, ლუკა ჭელიძე, მთავარი მწვრთნელი ილია მაისურაძე, მწვრთნელები: ლადო კილასონია, ზურაბ ამონაშვილი) სამხრეთ აფრიკის გუნდს შეხვდა. მართალია, უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ შავი კონტინენტის წარმომადგენლებს 20 ქულა აართვეს, მაგრამ წარმატების მისაღწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა - ჩვენები 20:48 დამარცხდნენ. არადა, ორი თვის წინათ მეტოქეები მოსამზადებელ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და ქართველებმა მაშინ უფრო დიდი სხვაობით წააგეს – 10:58.

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში აფრიკელებმა ანგარიში მე-9 წუთზე გახსნეს – 7:0. ამის შემდეგ სათამაშო უპირატესობას ჩვენები დაეუფლნენ და 26-ე წუთზე ლაშხმა საპასუხო ლელო გაიტანა, მაგრამ აბჟანდაძემ ვერ გარდასახა. ტაიმის მიწურულს რიცხვნაკლულმა აფრიკელებმა ზედიზედ ორი ლელო მიითვალეს. შესვენების შემდეგაც მატჩის სადავეები ფავორიტებს ეპყრათ ხელთ და საბოლოოდ, როგორც აღვნიშნეთ, 48:20 გაიმარჯვეს.

დარჩენილ სამ მატჩს უმცროსი „ბორჯღალოსნები“ შედარებით სუსტ გუნდებთან გამართავენ და, იმედია, 12 საუკეთესოში ადგილის შესანარჩუნებლად არაფერს დაიშურებენ. ხვალ ჩვენები შოტლანდიას (17:30), სამხრეთაფრიკელები კი ახალ ზელანდიას (22:30) შეხვდებიან.

ზურაბ დოლიძე

ორნი ოლიმპზე

საქართველოს 12 წარმომადგენელი მონაწილეობდა რუმინეთში დასრულებულ 7-17 წლის მოჭადრაკე გოგონათა და ვაჟთა ევროპის სასკოლო ჩემპიონატში. 7-წლამდელებში 9 შესაძლებლობიდან 9 ქულით ოქროს მედალი 6 წლის ქუთაისელმა დავით თათვიძემ მოიპოვა. საპრიზო ადგილებზე გასულ მეტოქეებს მან 3-3 ქულით გაუსწრო. ამავე ასაკის გოგონებში 7 ქულით ბრინჯაოს მედალი თბილისელ ენი მაჭავარიანს ერგო.

ცხრაწლამდელ გოგონებში ბათუმელმა კესარია მგელაძემ ცხრა შესაძლებლობიდან 7 ქულას მოუყარა თავი და ჩემპიონი გახდა, ხოლო 15-წლამდელ გოგონებში თბილისელმა ნია დოღვანმა 5.5 ქულით ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

გივი გაგუა

◎ თაობა

საბა, ნინო და თამარი

ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი თბილისის თასზე საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, სადაც მასპინძლებმა ორი მთავარი ჯილდო მოიპოვეს: ვაჟებში თავი ისახელა საბა ფურცელაძემ, რომელმაც ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა – ბეკზატ უსიპბეკოვი (ყაზახეთი) – 6:7, 7:5, 6:2, თურქი გოკალპ აიარი – 6:4, 6:2, სომეხი არტურ სოგოიანი – 7:6, 6:2, ტურნირის რეიტინგ-ფავორიტი ილარიონ დანილჩენკო (რუსეთი) – 6:0, 6:1, ხოლო ფინალში მე-2 ნომრად განთესილ იან მარკ მალკოვსკის (შვეიცარია) სძლია - 6:3, 7:5 და ზედიზედ მეორედ მოიპოვა მთავარი პრიზი.

ჩვენმა გოგონებმა წყვილებში იყოჩაღეს: თამარ გაგოშიძემ და ნინო ნაცვლიშვილმა ჯერ ნატალია მაისა და მარია მიხაილოვას (ორივე – რუსეთი, 6:4, 6:3) მოუგეს, შემდეგ ირენა მურადიანი და ნარინე სარგსიანი (ორივე – სომხეთი, 6:1, 7:5) ჩამოიშორეს გზიდან, ნახევარფინალში შეჯიბრების პირველ ნომრებს – ანა ჩეკანსკაიასა (რუსეთი) და ელიზავეტა კარლოვას (ყაზახეთი) – 7:6, 6:2 დააყრევინეს ფარ-ხმალი, გადამწყვეტ პაექრობაში კი მესამე ნომრებს – ანასტასია კოვალიოვასა (რუსეთი) და ელზა ტომასს (ლატვია) აჯობეს - 5:7, 6:4, 10:3.

თამაზ პატარიძე

◎ მოკლედ

ფეხბურთი. „ევრო – 2020“. შესარჩევი რაუნდის III ტური. საქართველო – გიბრალტარი 3:0. გოლები: გვილია, პაპუნაშვილი, არველაძე (პენალტით). ეს ვატოს პირველი სანაკრებო გოლია.

ერთა ლიგა: „ა“ დივიზიონი. ფინალი. პორტუგალია – ჰოლანდია 10. **მატჩი III ადგილისთვის.** ინგლისი – შვეიცარია 0:0 (პენალტებით – 6:5).

ჩოგბურთი. როლან გაროსი. ვაჟები. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) – დომინიკ ტიმი (ავსტრია) 3:1 (::3, 5:7, 6:1, 6:1). მალიორკელმა მე-12-ედ(!) იმარჯვა პარიზში და 2 მილიონ 300 ათასი ევრო გამოიმუშავა. მის აქტივშია აგრეთვე ATP-ის 82 მოგებული ტურნირი, მათ შორის 18 – დიდი შლემი. მეტი მხოლოდ როჯერ ფედერერს აქვს – 20, ხოლო ნოვაკ ჯოკოვიჩს – 15.

გიორგი ზოთაძე

ნინო ჩხეიძის ახალმა კლიპმა მოწონება დაიმსახურა

ქართული სიმღერის მოყვარულების კერპმა ნინო ჩხეიძემ და მის მიერ ახლად ჩამოყალიბებულმა ჯგუფმა NIO band-მა გალერეა „თბილისში“ საზეიმო ვითარებაში ახალი კლიპი წარუდგინეს საზოგადოებას. კლიპში ნინო NIO band-თან ერთად ასრულებს ულამაზეს სიმღერას „ამაღამ“, კომპოზიტორია **რუსა მორჩილაძე**, ტექსტის ავტორი **ირინა სანიკიძე**, არანჟირება **ბექა ნიკოლაიშვილის**. კლიპის მოსმენისას მაყურებელს საშუალება მიეცა, აღფრთოვანებულიყო ძველი თბილისის ულამაზესი არქიტექტურით, რომლის ფონზეც მიმდინარეობს მუსიკალური მინი-სპექტაკლი... დამსწრე საზოგადოება კლიპის სიუჟეტს თვალს ისეთი ინტერესით ადევნებდა, რომ არაფრით არ უნდოდა ნინოს „სცენიდან“ გაშვება და სიმღერის გამეორება ორჯერ მოითხოვეს.

ნინო ჩხეიძე — „ისეთი ბედნიერი ვარ ამდენი მეგობრის და სასიამოვნო ადამიანის ხილვით, რომ გადავწყვიტე, ხშირად გადავიღო ახალი კლიპი და საზოგადოებას წარვუდგინო. სექტემბერში ყველას ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩემს სოლო-კონცერტზე გელით, სადაც ახალ რეპერტუარს შემოგთავაზებთ“.

რევაზ თოფურია

სულთათანა

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების თანათავმჯდომარის, დიდებული მამულიშვილის, ბატონი დემურ მიქაძის მეუღლე, ქალბატონი

მანანა მოსიძე-მიქაძისა

და თანაგრძნობას უცხადებენ მის შვილებს — ქალბატონ ხათუნას, ბატონ გიგის და ოჯახის ახლობლებს.

რევაზ, ზაზა და ნიკო თევზაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონ დემურ მიქაძის მეუღლე, უსათნოესი ქალბატონი

მანანა მოსიძე-მიქაძისა

და თანაგრძნობას უცხადებენ შვილებს — ქალბატონ ხათუნას, ბატონ გიგის და ოჯახის ახლობლებს.

ლია ნადარეიშვილის ოჯახი უღრმეს მადლობას უხდის ყველას, ვინც მისი მწუხარება გაიზიარა და თანაუგრძნო დათო გვასალიას გარდაცვალების გამო.

◎ მკითხველის თხოვნით

როგორ მოვიქცეთ სიცხეში?

ზაფხულის პირველ თვეს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი სამედიცინო რჩევებს აძლევს მოსახლეობას.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ განსაკუთრებით საყურადღებოა სიცხეში 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების, ორსულების, ბავშვებისა და ქრონიკული დაავადებების მქონეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

როგორ გავუმკლავდეთ სიცხეს

● დღისით ოთახში იდეალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 32 გრადუსს, ხოლო ღამით — 24 გრადუსს. დღისით სასურველია, სახლში დიდი რაოდენობით მზის სხივები არ შემოდიოდეს. კონდიციონერისა და ვენტილატორის უქონლობის შემთხვევაში ფანჯრებთან სველი პირსახოცების ჩამოკიდება სახლის დატენიანებისა და სიგრილის ერთ-ერთი გზაა, ამ ყველაფერთან ერთად კი შინაც და გარეთაც მთავარია ბევრი სითხის მიღება. სითხეში არ ითვლება:

● ტკბილი, კოფეინიანი სასმელი;

● ალკოჰოლი.

თუ შინ არ ხართ, მაშინ სიცხეში სასურველია, ძლიერ ფიზიკურ აქტივობას მოერიდოთ, ან, თუ ეს აუცილებელია, ექიმების რეკომენდაციით ამისთვის საუკეთესო დრო არის გამთენიისას 04:00-დან 07:00-მდე.

ქუჩაში გასვლისას სასურველია ფარფლებიანი ქუდის, კეპის ან ქოლგის ტარება. ასევე რეკომენდებულია სათვალე და მზისგან დამცავი საშუალება, თუმცა საცხი მხოლოდ ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს ორგანიზმს და არა გადახურებისგან.

რაც შეეხება კვებას, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი გირჩევთ:

● საკვები მიიღოთ ხშირად და მცირე ულუფებით;

● მოერიდეთ ცილის მაღალი შემცველობის პროდუქტებს;

● სალათები, რომლებიც მზადდება მაიონეზით, ჯობს იყოს ახალი მომზადებული.

როგორ დავიცვათ ბავშვები ძლიერი სიცხისგან

● ექიმები მშობლებს ურჩევენ, დააკვირდნენ სიმპტომებს

და დაუკავშირდნენ ექიმს, თუ ბავშვს შენიშნეს:

სისუსტე, ძლიერი დაღლილობა, თავის ტკივილი, ცხელება, წყურვილის ძლიერი შეგრძნება, შარდის შეკავება, გულის რევა, ღებინება, გახშირებული სუნთქვა, დაბუჟება, კუნთის ტკივილი, კუნთის სპაზმი, ძილიანობა, ცუდ გუნებაზე ყოფნა.

მეტი ყურადღებაა საჭირო ბავშვებთან, რომლებსაც აქვთ გაძნელებული სუნთქვა და ასთმა, აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა და თირკმლის დაავადებები, დიარეა.

ექიმები ყურადღებას ამახვილებენ სიცხეში ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც და მშობლებს ურჩევენ, არ „ჩაკეტონ“ ისინი სახლში, რაც მათი ნერვიულობისა და მოუსვენრობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ასევე, მშობლებმა არ უნდა დატოვონ ბავშვები გაჩერებულ ავტომობილებში. მშობლებს ურჩევენ რამდენიმე საათი შვილთან ერთად გრილ ადგილას — აუზზე, შადრევანთან, პარკებსა და კონდიციონერიან სავაჭრო ცენტრებში გაატარონ.

ბავშვებსაც დაახურეთ ფარ-თონაპირებიანი, ჰაერგამტარი ქუდები.

როგორ დავიცვათ თავი საზაფხულო დაავადებებისგან

ზაფხულის დადგომასთან ერთად მატულობს მწვავე დიარეული დაავადებების შემთხვევები. ამ დაავადებათა რეგისტრირებული შემთხვევების 50 % სწორედ ზაფხულის სამ თვეზე მოდის. ამის გამომწვევი მიზეზი კი შესაძლოა, გახდეს დაბინძურებული სასმელი წყალი ან არასწორად მომზადებული საკვები.

საქართველოში მწვავე დიარეული დაავადებების 65% ბავშვებს აქვთ. პირველი გაფრთხილებაა **ხელების ხშირი ბანვა,** რათა დაავადება საყლაპავი გზებით არ მოხვდეს ორგანიზმში. დანარჩენი პრევენციული ზომების სია კი ასეთია:

● თუ წყალსადენში წყლის მიწოდება შეგიწყდათ და შემდეგ განახლდა, აცადეთ 10 წუთი დინება და შემდეგ გამოიყენეთ სასმელად;

● გამოიყენეთ სუფთა წყალი ხილისა და ბოსტნეულის გასარეცხად;

● ცხოველური წარმოშობის საკვები წელიწადის ამ დროს განსაკუთრებით კარგად უნდა შეიწვას ან მოიხარშოს;

● მზა კერძი ჭამის წინ კარგად უნდა გაცხელდეს;

● სასურველია, ზაფხულის განმავლობაში თავი შეიკაოთ მოხარშული ან ათქვეფილი ნაღებით მომზადებული ტორტებისა და კრემიანი ნამცხვრებისგან, ან ასეთი საკონდიტრო ნაწარმი უნდა ინახებოდეს 0-8 გრადუსზე.

რა უნდა მოვთხოვოთ დამსაქმებლებს სამსახურში

მაღალი ტემპერატურის პირობებში სამუშაოს შესრულების წესებს 2014 წლის მთავრობის რეგლამენტი ადგენს, თუმცა ის შეეხება შენობის შიგნით ტემპერატურის მაქსიმუმს, რომლის გადაჭარბების შემთხვევაშიც დამქირავებელმა უნდა შეაჩეროს სამუშაო პროცესი ან შეამციროს მუშაობის საათები. შენობის შიგნით დასაშვები მაქსიმუმია 32 გრადუსი.

რაც შეეხება გარეთ მომუშავეებს, მათ შორის ადამიანებს, ვინც მშენებლობაზეა დასაქმებული, მათთვის მაქსიმუმი არ განისაზღვრება. არსებობს მხოლოდ რეკომენდაცია დამსაქმებლის მიმართ, რომ მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში, 32-34 გრადუსის დროს, დასაქმებულს მისცეს გაგრილების საშუალება და იზრუნოს მის ჯანმრთელობაზე. ამგვარად, გარე ტემპერატურა დამოკიდებულია დამქირავებლისა და დაქირავებულის ურთიერთშეთანხმებაზე.

სოფო დათიშვილი

სისხლიანი გარჩევა დიღმის მასივში

პოლიციამ დიღმის მასივში მომხდარი 2 პირის დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა — დაკავებულია 1 პირი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით 1997 წელს დაბადებული უ.გ. ცხელ კვალზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვერკში დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, დიღმის მასივში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით ჭრილობები მიაყენა 1998 წელს დაბადებულ ე.გ.-ს და 2001 წელს დაბადებულ მ.მ.-ს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა სამკურნალო დაწესებულებებში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი დახმარება გაეწიათ.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ — აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

◎ მუნასიბები

მორიელები

რადგანაც დროზე არ გავსრისეთ ჩვენ მორიელი,
და აგვიფეთქა ქუთაისში მემორიალი,
ნეტავი ახლა მაინც შეგვრჩეს გონიერება,
სიცოცხლე ვერ მოგვიშხამონ მორიელებმა.
სანამ ვუთმინოთ,
ვინც ჩვენ თვალწინ გესლავს ზედიზედ
სულ უმიზეზოდ ჩვენს ქალ პრეზიდენტს?!

სველი სამოსი

გენდირექტორი აცეტდა
„ვანოს შოუდ“ და „აქცენტად“,
მაგრამ რადგან სურს „არგოსა“,
ქუთაისს რამე არგოსა,
ზღვის კანონები მკაცრია,
იმ ინტრიგანს ღდინს აცლიან,
ვინც უშლის ვახტზე დგომასა
ნიშნიანიძე ომარსა,
ვერ მოუხერხა გადმოსმა,
ვერც ბინძურ ლაფში ამოსვრა,
და როცა ნიკას ამოდ სვლა
ჩაშალა სველმა სამოსმა,
გადააბრალა ჩაის სმას,
რაც რომ ჩაისვარ-ჩაიფსა!

ალექსანდრე შენგელია
2019 წლის 10 ივნისი

ქირურგებმა ქალს თითზე ამოსული 6-სანტიმეტრიანი რქა მოკვეთეს



60 წლის ქალი საავადმყოფოში თითზე უცნაური წამონაზარდით მივიდა, რომელიც მას დისკომფორტს უქმნიდა. ექიმებმა კანის რქის დიაგნოზი დასვეს. რქა 6 სანტიმეტრის იყო. აღნიშნული შემთხვევა დარეგისტრირებულ სამედიცინო შემთხვევებში პირველი იყო, როდესაც ასეთი წარმონაქმნი ცერა თითზე გაჩნდა. პაციენტის თქმით, მან ხელზე მცირე წამონაზარდი პირველად 5 წლის წინ შეამჩნია, რომელიც სახლის პირობებში მოიძრო, შემდეგში კი მან ზრდა ისევ დაიწყო და ზომაშიც მნიშვნელოვნად მოიმატა.

ქირურგებმა დაადგინეს, რომ წამონაზარდი კეთილთვისებიანი იყო და მოკვეთეს. ქალი ოპერაციის შემდეგ თავს კარგად გრძნობს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

წყალში ჩაძირული 1,5 მილიონი ევრო

გერმანიაში 1.5 მილიონ ევროდ რესტავრირებული მე-19 საუკუნის ხომალდი მდინარე ელბაში ჩაიძირა. ინციდენტი ქალაქ ჰამბურგთან ახლოს მოხდა. შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

მაშველებმა 43 ადამიანის ევაკუაცია დროულად მოახერხეს.

ხომალდი 1883 წელს არის აგებული. ის ამ პერიოდში აგებული ხის ხომალდებიდან უკანასკნელია, რომელიც ამ დრომდე შემორჩა.

გამოძიების ინფორმაციით, ხომალდი მას შემდეგ ჩაიძირა, რაც კონტეინერების გადამზიდ გემს შეეჯახა. მიუხედავად მაშველების არაერთი მცდელობისა, გემი ჩაიძირა. მე-19 საუკუნის გემის რესტავრაცია ცოტა ხნის წინ დასრულდა.



გიგანტური კუ ბუნებრივ გარემოს დაუბრუნდა

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით მიმდინარე წლის მარტში ხმელთაშუა ზღვიდან ფოთის სანაპირო ზოლში გადაშენების პირას მყოფი გიგანტური კუ (კარეტაკარეტა) შემოვიდა.

როგორც სააგენტოში აღნიშნავენ, ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, კუ გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებდა.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის სპეციალისტების ჩართულობით, შესაბამისი რეაბილიტაციის კურსი კუს სასტუმრო „პარაგრაფის“ ოკეანერიუმის საკარანტინო აუზში ჩაუტარდა.

სპეციალისტების განმარტებით, შავი ზღვის ივნისის თვის წყლის ტემპერატურა დაახლოებით 20-22 გრადუსია, რაც სრულიად შესაბამისია კუს საბინადრო გარემოში დასაბრუნებლად. სპეციალისტების რეკომენდაციის გათვალისწინებით, გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა კუ შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში ბუნებრივ გარემოში გაუშვეს“, — აღნიშნულია სააგენტოს ინფორმაციაში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა ანდრო ასლანიშვილმა მადლობა გადაუხადა მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის სპეციალისტებს, დაბა ურეკში მდებარე სასტუმრო „პარაგრაფის“ ადმინისტრაციას გაწეული დახმარებისთვის და ლაშა ხოჯავას, ქალაქ ფოთის მკვიდრს, რომელმაც გიგანტური კუ იპოვა და შესაბამის სამსახურს დაუკავშირდა.

3 უპატარძლო ქორწილი

დუბაის საამიროს მმართველის და არაბეთის გაერთიანებულ საამიროს ვიცეპრეზიდენტის მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაკტუმის სამი ვაჟი ერთდროულად დაქორწინდა და დუბაიში მდიდრული ქორწილი გადაიხადეს.

ქორწინების ოფიციალური ცერემონია მაისის შუა რიცხვებში შედგა, სამი ქორწილი კი 6 ივნისს გადაიხადეს. საზეიმო ცერემონია, რომელსაც მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ დუბაის მსოფლიო სავაჭრო ცენტრში გაიმართა, ქალების ცერემონია კი ცალკე, დახურულ რეჟიმში შედგა. დუბაის პრინცების მეუღლეების ფოტოები სოციალურ ქსელში არ გავრცელებულა.

დაქორწინებულ პრინცებს შორისაა, მემკვიდრე პრინცი 36 წლის ჰამდან ბინ მოჰამედ ალ მაკტუმი, რომელიც თავისი გარეგნობისა და ცხოვრების წესის გამო, მთელ მსოფლიოშია პოპულარული.

საიდუმლო თვითმფრინავი ამერიკის ცაზე

აშშ-ში სამხრეთ კალიფორნიის აეროპორტში თვითმფრინავი Celera 500L-ი შენიშნეს, რომელსაც ტყვიის ფორმა აქვს და რომლის შექმნაზეც ამერიკული კომპანია Otto Aviation-ი, 9 წლის განმავლობაში, საიდუმლოდ მუშაობდა.

The War Zone-ს ინფორმაციით, Celera 500L-მა ტესტირება წარმატებით გაიარა და ახლა უკვე პირველი ფრენისთვის ემზადება.

გამოცემის ინფორმაციით, თვითმფრინავის ზუსტი სახელი დღემდე გასაიდუმლოებულია თუმცა მას კომერციული ავიაციის ბაზარზე რადიკალური ცვლილებების მოხდენა შეუძლია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7344; ევრო - 3.0803;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4782;
100 რუბლი - 4.2031; თურქული ლირა - 0.4685;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6091;
1000 სომხური დრამი - 5.6967.

ამინდი 11 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+20,	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+34
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge